



ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№334 (393) 6-13 ოქტომბერი 2015

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ვნა – აააკი შენიკა



როგორ დაარსდა და რა აღმოჩენები კეთდაბოდა საუკუნოვანი ისტორიის გეონა აბასთუმნის მოსერაპორონიში **გვ.4**

ლოკომოტივი ჩაიხსნა და შემაღბენლობა უკან დაბორდა

გვ.2

შეგარდნაბე გეპირდებოდა, რომ “მეორე შევიცარიად” ვიქცეოდით, სააკაშვილი დაგეპირდა, რომ “მეორე სინგაპური” გაგხდებოდით, ივანიშვილი კი “მეორე ღუბაიდ” გადაქცევას გეპირდებოდა. მოაზროვნე ადამიანისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ არც ერთი ამ ორიენტირთაგანი ჩვენთვის პრინციპულად ვერ იქნება რეალური მიზანი.

ვაზის გარეხვა თუ პროვოკაცია – ძველი სხენის ახლებური გათამაშება

„ტერიტორია გეგევენეს, სადაც იყო ვაზი გაჩეხილი. ეს ტერიტორია არ ეკუთვნის ამ ადამიანს, ეს ეკუთვნის დომენჭაშვილ გოდერძის, რომელსაც 25 მეასედი ვაზი ჰქონდა ადრეული ჯიშის. მან ეს ადრეული ჯიში ადრევე დაკრიფა და იმ ადგილზე ბატონ გოდერძის რქაწითელის ჩაყრა სურდა და ამისათვის გადაჭრა ეს ძველი ვაზი.“

სამწუხაროდ, ტელევიზიებმა ჩვენ, როგორც მაყურებელს და მსმენელს შემოგვატყუეს ისე, თითქოს ეს ვაზი იყო დღეს გაჩეხილი და გაჩეხილი იმისთვის, რომ აღარ სურდა ვინმეს ვაზი. ეს არის ცალსახა პროვოკაცია. ეს არის დადგმული სპექტაკლი“ **გვ.6**



ბორის ლავითაია: ებრისის მეფე გუბაზი – ნათელი მოხუბის მოღვაწე! **გვ. 5**



კონსტანტინე კაკანელი (ჭანბურაია)


ფრიდრის ენგელსის თქმით, “მთელი ახალი ისტორია იმ მძლავრი ეპოქიდან თარიღდება, რომელსაც ჩვენ, გერმანელები, იმ დროს ჩვენს თავს დამტყდარი უბედურების გამო, რეფორმაციას ვუწოდებთ, ფრანგები – რენესანსს, ხოლო იტალიელები ჩინკვეჩეტოს უწოდებენ და რომელსაც ვერც ერთი ეს სახელწოდება ამომწურავად ვერ გამოხატავს”... **გვ.7**



ვირიან ჯალაღანია: 22 წლის შემდეგ 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის 22 წელი შესრულდა. **გვ.3**



უკრაინული მეღია სააკაშვილის ქართულ და უკრაინულ “ჰარამხანაზუ” – მიზას ქალები “საიდუმლო მასალებში” **გვ. 6**



დედა ეკლესიას მოწყვთილი იერუსალიმის წმინდა სალოცავები **გვ.11**

ლოკომოტივი ჩაიხსნა და შეაღებინა უკან დაბრუნდა

დაიბეჭდა გაზეთში "საქართველო და მსოფლიო", 2015 წლის 17 სექტემბერს

მიუხედავად იმისა, არაა საკარტოველო ღუბაის, სინგაპურს ან შვეიცარიას და რატომ აღმოჩნდით უფრო მიმდინარე სოციალურ პირობებში, ვიდრე ვიყავით?

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიაძემ ვრცელი ინტერვიუ მისცა გაზეთ "საქართველო და მსოფლიო" (იხ. №34 18-24 სექტემბერი, 2013წ.), სადაც ზუსტად გათვალა საქართველოს დღევანდელი ევოლუცია. აი, რა განაცხადა ორი წლის წინათ მან: "თუ ივანიშვილი ტოვებს თავის პოსტს, ეს სხვადასხვანაირად შეიძლება შეფასდეს, მათ შორის, ძალიან ნეგატიურადაც, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მან უდიდესი როლს შეასრულა საქმე გააკეთა - ხელისუფლებას მოაზროვნე და მარცხენა და აქცია სამარცხენო "ნაციონალური მოძრაობა". ივანიშვილის გარდა, ამ საქმეში ამერიკელები მხარს არავენ დაუჭერდნენ.

პარალელურად მან, რა თქმა უნდა, შეასრულა ამერიკელების დაკავება - ითამაშა ლოკომოტივის როლი და ხელისუფლებაში მოიყვანა ის პოლიტიკური ჯგუფები, რომელთაც დამოუკიდებლად ხელისუფლებაში მოსვლის არანაირი შანსი არ ჰქონდათ. იქნებ მისი წასვლა უკეთესი იყოს. ივანიშვილი ხელისუფლებაში რომ დარჩენილიყო, მოსახლეობა ქვეყანაში მდგომარეობის მალე უკეთესობისკენ შეცვლის იმედით კიდევ ორიოდე წელიწადი იღუპებოდა, მთელი რეჟიმში იქნებოდა და ბოლოს უფრო მეტად იმედგაცრუებული აღმოჩნდებოდა. საქმე ისაა, რომ, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ახალი ხელისუფლება უმნიშვნელოდ თუ გამოირჩევა წარმავალი რეჟიმისგან, ამიტომ უახლოეს წლებში არანაირი თვისობრივი პროგრესი ცვლილებები არ იქნება. მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება, სოციალური, ეროვნებათაშორისი და რელიგიათაშორისი დაპირისპირება გაიზრდება.

არ ვიცი, რა არის "ივანიშვილის პროგრამა", და ვფიქრობ, საქართველოში ეს არც არაფერი იცის, თუთ ივანიშვილის ნათვლით. მეორე - ივანიშვილი სერიოზულ შეცდომას უშვებს, თუკი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კომერციულ ფირმას, კერძო კომპანიას, რომელშიც მას აქციათა თითქმის 100-პროცენტობა აქვს და სადაც მინისტრები, დეპუტატები - მისი თანაშემწეები, კლერკები, ნებასურვილის შემსრულებლები არიან. მისი განცხადებები იმის თაობაზე, რომ დატოვებს "საინტერესო" პრეზიდენტს და "საინტერესო" პრემიერს, ხოლო თვითონ გარდასვას კონტროლს სიტუაციას, არის ბიზნესმენის მდგომარეობა ბიზნესსტრუქტურისადმი: შევქმნი კომპანიას, დაგინიშნავ ჩემს ხელს და გააკონტროლებო, მაგრამ სახელმწიფო კერძო კომპანია არ არის".

ალექსანდრე ჭაჭიაძემ ასევე ისაუბრა ინვესტიციებზე, რომელთა მოზიდვასაც ახალი ხელისუფლება განუსაზღვრელი რაოდენობით გეგმავდა:

"თუ საუბარია ინვესტიციებზე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მაშინ უნდა ითქვას, რომ საქართველოს შიგა ბაზარი ძალიან მცირეა იმისთვის, რათა მსხვილი ინვესტიციები დააინტერესოს. მსხვილი ინვესტიციებისთვის საჭიროა გასაღების მასშტაბური ბაზარი, ქართული პროდუქციისთვის კი ასეთი ბაზარი მხოლოდ რუსეთი შეიძლება იყოს. უფრო მეტიც, ამ მსხვილი ინვესტიციების განხორციელებაც მხოლოდ რუსულ კაპიტალს შეუძლია, რომელიც თვითონვე უზრუნველყოფს პროდუქციის რუსეთის ბაზარზე გასაღებას. ქართულ წარმოებაში ფულს სხვა არაფერი ჩადებს. რუსული კაპიტალის მოსახიდად კი საჭიროა რუსეთთან სრულფასოვანი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების აღდგენა, რაც, ამჟამინდელი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსის გათვალისწინებით, უბრალოდ, გამორიცხებულია. გვინათ, სააკაშვილს არ უნდოდა

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოზიდვა? უნდოდა, მაგრამ არაფერი დება ინვესტიციას. დასავლეთს არ სჭირდება საქართველოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ამდენად, ამ სფეროებში დასავლური კაპიტალი ინვესტიციას არ ჩადებს. სწორედ ამიტომ შევარდნაძემ და სააკაშვილიც დასავლეთისგან მხოლოდ კრედიტებს იღებდნენ, ანუ ფულს სესხულობდნენ. დღეს საქართველოს საგარეო ვალი, თუ არ ვცდები, 13 თუ 14 მილიარდი დოლარია. საკუთარი ეკონომიკის არარსებობის პირობებში, ამ ვალის მხოლოდ პროცენტების გადასახდელად ახალ-ახალი კრედიტები უნდა ავიღოთ. ეს კაბალაა.

შევარდნაძემ გეგმავდა, რომ "მეორე შვეიცარიად" ვიქცეოდით, სააკაშვილი დაგვირდებოდა, რომ "მეორე სინგაპური" გავხდებოდით, ივანიშვილი კი "მეორე ღუბაიდ" გადაქცევას გეგმავდა. მოაზროვნე ადამიანისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ არც ერთი ამ ორიენტორთაგანი ჩვენთვის პრინციპულად ვერ იქნება რეალური მიზანი.

და მაღლობა ღმერთს, რომ ვერ იქნება. ამ ადამიანებმა ვერა და ვერ გაიგეს, რომ ჩვენ გვსურს, ვიყოთ საქართველო და მხოლოდ საქართველო. მაგრამ იმ ვითარებაში, როდესაც ჩვენს მმართველებს არ გააჩნიათ არც ქვეყნის აღორძინების რეალური პროგრამა, არც მკაფიო წარმოდგენა საქართველოს მომავალზე, ცდილობენ, საზოგადოებას თავს მოახვიონ ფანტასტიკური მიზნები და იმედოვნებენ, ამით ადამიანებს გონება დაუბნდონ. გულწრფელად გითხრა, არ მიველოდი, რომ ივანიშვილის "ქართული ოცნება" ასე სწრაფად გადაიქცეოდა მორიგ ფუჟე "ქართულ ფანტაზიად", - განაცხადა ალექსანდრე ჭაჭიაძემ.

შეგვიძლია, გადავხედოთ ინვესტიციების მოსახიდად ივანიშვილისა და მისი ხელისუფლების განგეგმიდ ვხას.

* პრემიერის რანგში ბიძინა ივანიშვილის პირველი ვიზიტი დაგვიჩვენა, ეკონომიკურ ფორუმზე იყო. მთავრობის წევრები ამ შესვენებებიდან დიდძალი ინვესტიციების შემოდინებას ელოდნენ, რადგან იქ, თურმე, ივანიშვილის მგობარი ბევრი ბიზნესმენი იმყოფებოდა...

*2014 წლის 23 სექტემბერს პრემიერი ღარიბაშვილი გაეროში ე.წ. კლიმატის სამიტს დაესწრო, სადაც 125-კაციანი დელეგაციით ჩავიდა. იმჟამინდელმა ეკონომიკის მინისტრმა, ახლა უკვე საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა განაცხადა: "მე აქ იმით ვიმყოფები, რომ ურთიერთობები დაგვალავს და ინვესტიციები მოვიზიდო. სამიტს 125 ქვეყნის წარმომადგენლობა სტუმრობს". კვიციანიშვილის განცხადებას კი პოლიტოლოგმა სოსო ცინცაძემ ასე უპასუხა: "ინვესტიციების მოსახიდად თუ იყო ჩასული ამხელა დელეგაცია, ამას ორ თვეში გეტყვით, როდესაც ჩემი მაგივრის კარს გამოვადებ".

* ინვესტიციების მოსახიდად გადადგმული ყველა ნაბიჯი არცთუ წარმატებული აღმოჩნდა. ახლა ველოდებით ჩინეთიდან დაბრუნებული პრემიერის სიხარული თუ გამართლებებს, - საქართველომ მილიარდნახევრანი ბაზარი იშოვა.

საქართველო, ვერც შვეიცარიად გახდა, ვერც სინგაპური და ვერც ღუბაი, მაგრამ ავიხილა ალექსანდრე ჭაჭიას სიტყვები: "პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ახალი ხელისუფლება უმნიშვნელოდ თუ გამოირჩევა წარმავალი რეჟიმისგან, ამიტომ უახლოეს წლებში არანაირი თვისობრივი პროგრესი ცვლილებები არ იქნება, მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება, სოციალური, ეროვნებათაშორისი და რელიგიათაშორისი დაპირისპირება გაიზრდება."

რაც შეეხება ლოკომოტივის ფუნქციას, რომელიც ივანიშვილმა შეასრულა, ბუნებრივია, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ეს კარგი არაფერს მოუტანდა. ვეღარ ვიცი, თუ, ლოკომოტივს რომ ჩახსნი, დაკარგავს შემაღვენლობა გორდება... ახალი არჩევნები კარს მოგვადგება. მიუხედავად იმისა, რომ არა ერთ საარჩევნო ოთხწლედში ღუბაის და რა როდენობის

ინვესტიციები შემოვიდა საქართველოში? რატომ აღმოჩნდით უფრო მიმდინარე სოციალურ პირობებში, ვიდრე ვიყავით? - ამ და სხვა შეკითხვებზე პასუხის გაცემა რამდენიმე პოლიტოლოგს ვთხოვეთ.

მასილ ზინცაძემ, დიპლომატი:

- ბატონო ვასილ, ორი წლის წინათ ალექსანდრე ჭაჭიაძემ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში ასეთი რამ თქვა: "არაფერი იცის, თვითონ ივანიშვილმაც კი, რა პროგრამა აქვთ". არჩევნები ახლოვდება და, თუ გაიკეთა, რა პროგრამა ჰქონდა ხელისუფლებას?

- ჩვენ ამასზე ბევრი გვისაუბრია. ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლას არ ელოდა, ამიტომ პროგრამაც არ ჰქონდა. ახლა კი შევარდნაძესავით ორმაგ თამაშს თამაშობს, თუმცა ამას აღარაფერი ჭამს. ხელისუფლებას გამოკვეთილი უნდა ჰქონდეს პოზიცია - ან იქით, ან აქეთ, ამათ ეს არ ჰქონდათ. გუნდიც ვერ ჩამოყალიბდა - რა სურდათ, რა ეს წლების განმავლობაშიც ვერ მოახერხეს.

დღეს ბევრს ვსაუბრობთ, რომ მოგვატყუეს, გადაგვადგეს... კი არ მოგვატყუეს, მზად არ იყვნენ, ვერ შეძლეს. ასე რომ, ბატონმა ალექსანდრემ მართალი თქვა და ასეც მოხდა.

- ივანიშვილი გეგმავდა, რომ მეორე ღუბაისაა დაგვირდებოდა, რაც ასევე აბსურდად ეჩვენებოდა ყველას...

- ღუბაის არ... ღუბაის კი არა, ბაქოს ვერ მიუახლოვდით. ალბათ, უნდოდა... გიჟი უნდა იყო, ქვეყნისთვის სიკეთე არ გინდოდა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მეორე არჩევნებიც ხომ მოდის, ამისთვის მაინც უნდა გააკეთო რამე, მაგრამ ამათ ვერ შეძლეს. როდესაც ხელმძღვანელი ხარ, გუნდი უნდა შეითავსო, რადგან რომ გააკეთო. კარგი გუნდითაც კი სამ წელიწადში ღუბაი არ აშენდებოდა, მაგრამ რადაც მაინც შეიძლებოდა. ღუბაი 20-30 წელი უნდებოდა, მაგრამ სამ წელიწადში უკვე ეტყობოდა, საითაც მიდიოდა.

- ალექსანდრე ჭაჭიაძემ გათვალა ისიც, რომ 2012 წლის არჩევნებიდან 1-2 წელიწადში საქართველოში უფრო მიმდინარე სოციალური ფონი იქნებოდა, ვიდრე აქამდე ყოფილა. თქვენ თუ ელოდით ვითარებას, რომელიც დღეს გვაქვს? ელოდით, რომ ინვესტიციები არ შემოვიდოდა და ქვეყანა უკან წავიდოდა?

- ამას არ ველოდი. მაგრამ, თუ დღეს ყველაფერი ასე გაიყინებოდა, ნამდვილად არ მეგონა. ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები მართლაც უკიდურესად გაღატაკებულნი არიან, წელიწადში შიმშილისგან 300 ბავშვი კვდება, ამის მოლოდინი როგორ უნდა მქონოდა?

ინვესტიციები მაშინ შემოვა, როდესაც საინვესტიციო გარემოს შექმნი. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, პატარა ბაზრით, ამიტომ ინვესტიციებს ინტერესი სხვა მხრივ უნდა გაუჩინო. კანონები უნდა გქონდეს ისეთი, რომ დაინტერესოს. ასე მოქცევა სინგაპური. ქვეყანას უნდა ჰქონდეს კანონი, რომელიც ინვესტორს გადასახადებისგან გაათავისუფლებს. ააშენოს, რაც უნდა, ოღონდ შენი ქვეყნის მოქალაქეები დაასაქმოს. წელიწადში არ უნდა ჩაუჯდეს. ჩინეთმა და თურქეთმა კარი გახსნეს, შემოიყვანეს ინვესტორები და აშენდნენ. კარს თუ არ გახსნი და ხელსაყრელ პირობებს არ შექმნი, არაფერი დაინტერესდება შენით. ხელისუფლებამ ეს არ გააკეთა, თუმცა, სიმართლე გითხრა, მეგონა, გააკეთებდნენ.

ღარი გაუფასურდა და ამბობენ, რუსულ ბაზარზე ვართ ჩამოკიდებული, ღვინო აღარ იყიდება. იმ რუსეთთან სწორი პოლიტიკა რომ ეწარმოებინათ, სწორ რელსებზე დამდგარიყვენ, როგორც კომუნისტების დროს ყიდულობდნენ რუსები ღვინოს, ისევე ისე იყიდებდნენ. რუსეთი ხედავს, რომ ნატოს ელაქცევი და მას გინდა, ღვინო აყიდინო. სწორედ ამას ვსაუბრობდი, როდესაც ორმაგი თამაში ვახსენე. იმ ინტერვიუში, რომელიც ჭაჭიაძემ თქვენ მოსციათ, რუსულ ბაზარზეც საუბრობს, მან თქვა - მსხვილი ინვესტიციების განხორციელებაც მხოლოდ რუსულ კაპიტალს შეუძლია, რომელიც თვითონვე უზრუნველყოფს პროდუქციის რუსეთის

ბაზარზე გასაღებას. ქართულ წარმოებაში ფულს სხვა არაფერი ჩადებს.

- ლოკომოტივის ფუნქცია შეასრულა ივანიშვილმა...

- ლოკომოტივი ჩაიხსნა და შემაღვენლობა უკან დაგორდა. მთავრობა უკან უკან მიდის, კისრისტეხით დაგორდა.

ბუღაბათი რცხილაძემ, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი:

- ღუბაის ნამდვილად ვერ მიუახლოვდით. ჩვენ ხომ ვიცოდით, რომ ყველა განცხადება წინასაარჩევნო პიარი იყო. ხალხს მოჰყვიადა დაპირებები სჭირდება, როგორც ჩანს, ხალხის გასაზრახველად "ცოცხები" საკმარისი არ არის და დაპირებები აუცილებელია. ღუბაის ამბავი, არც მაშინ იყო რეალური და დღეს, შესაბამისად, იმედგაცრუებულიც არ ვარ.

- რატომ არ შემოვიდა ინვესტიციები?

- მიმდინარე რეპორტიკური მდგომარეობა გვაქვს. რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების არ არსებობა ბევრ დარტყმას გვაყენებს.

მართალია, მთავრობა ცდილობდა, ინვესტიციები შემოსულიყო, მაგრამ ვერ გათვალეს, რომ პოლიტიკური ვითარების გამო, აქ ინვესტიციების შემოდინება მარტივი პროცესი არ არის. თუ რუსეთთან ურთიერთობა არ მოგვარდება, აქ ინვესტიციას არაფერი შემოიტანს.

- ალექსანდრე ჭაჭიაძემ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოში ფუნდამენტური ცვლილება არ განხორციელებულა, ამიტომ სოციალური ფონი, შესაძლებელია, გაუარესდეს კიდევცო.

- მიმდინარე სოციალური ფონი არ მიკვირს, თუმცა მინდა, გითხრა, რომ უკეთეს ველოდი, ეს შესაძლებელი იყო. ვთანხმდები ალექსანდრე ჭაჭიას, ფუნდამენტურად არაფერი შეცვლილა, კადრები არ შეიცვალა, შავი ფული ისევე არსებობს. ნებისმიერი მოქალაქე გეტყვით, რომ ნაციონალები ისევე ხელისუფლებაში არიან. ის, რაც ხდება, ამერიკის მიერ არის თავს მოხვეული.

- მთავრობა ახლა ჩინურ ინვესტიციებზე საუბრობს...

- ჩინეთში ჩვენ რომ არ წავიდეთ, თვითონ ჩამოვა აქ და მნიშვნელოვან ეკონომიკურ გავლენასაც მოახდენს. მთავარია, როგორ იმოქმედებს საქართველოს ხელისუფლება და როგორ შეუხამებს ექსპანსიონერ ჩინეთს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. ჩინეთის თვითმიზანი არ არის ჩვენი კოლონიზაცია, ამიტომ პარმონიული ურთიერთობა შესაძლებელია, აუცილებელიც კი არის იმისთვის, რომ დასავლეთის დომინირება არ იყოს.

მართალია, რუსეთის ბაზრის ათვისება უკეთესი იქნებოდა, მაგრამ აქაც ბევრი რამ არის შესასწავლი, ჩვენ ამინდს ვერ შევქმნით. ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინის გაყიდვა აბსურდია, რუსეთის ბაზარი უკეთესია.

- სწორი იყო ივანიშვილის გადაწყვეტილება ხელისუფლებიდან წავლის შესახებ?

- შესაძლებელია, პირის თვალსაზრისით კარგი იყო, თუმცა მოლოდინი მქონდა, რომ ქართული ორგანიზაციები გაძლიერდებოდა, რასაც გეგმავდა, მაგრამ დღეს ამას ვერ ვხედავთ. უცხოეთიდან მართული ორგანიზაციების ჩამნაცვლებული არ ჩანს.

სოსო ცინცაძემ, პოლიტოლოგი:

- შევარდნაძემ შვეიცარიის აშენებას გეგმავდა, სააკაშვილი - სინგაპურის, ივანიშვილი კი - ღუბაის. მიუხედავად იმისა,

- ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყანასთან მიახლოება საქართველოსთვის "ბროლის ოცნება" იქნებოდა. 20-30 წლის წინათ ღუბაის არსებობა საქართველოს მხოლოდ გეოგრაფიულად იცოდნენ. ქვეყანა, რომელსაც არ აქვს ეკონომიკა, არ აქვს ნავთობი, წიაღისეული და თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული გარე სამყაროზე, ღუბაისზე ოცნებასაც ვერ უნდა ბედავდეს.

ხელისუფლების ქმედება წარუმატებელი იყო, რადგან მიზანი არ იყო სწორად აღებული. ქუჩაში გადით და ყველა მოქალაქე გეტყვით, რომ ამ ხელისუფლების მოღვაწეობა წარუმატებელი იყო.

(გაგრძელება მე-7 გვერდზე)



ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

საბანებო ბანცხალეა

ამ განცხადებას ქართულ ენაზე გააკეთებ, რადგან მაქვს შიში, რომ „ნანაშინაზე“, ანუ ჩემს მეგრულ ენაზე – ჩემდა სამწუხაროდ შესაძლებელია მთლად ნათლად და გასაგებად ვერ გამოვიხატო პოზიცია ერთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით...

ახლა, რა მინდა ვთქვა: საქმე იმაშია, რომ მეგრული იდენტობის დაცვა-შენარჩუნებისათვის გარჯას აუცილებლად სჭირდება დიდი დაფიქრება, დიდი ანალიზი, დიდი გონიერება, დიდი პატრიოტიზმი და ამ ჩვენთვის სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესი და არსებობა-არარსებობის დილემის ზოგადდროულად, ზოგადსახელმწიფოებრივ კონტექსტში დანახვა-გადაჭრა! ეს იმდენად აქსიომატური საკითხია, რომ საზგასმა უხერხულადაც კი მიმანია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც იძულებული ვარ მუდმივად მოვახდინო ამაზე აპელირება და აქცენტირება! მრავალჯერ მაქვს საჯარო სივრცეში განცხადებული, რომ ჩვენ მართალია პრინციპულად უნდა გავისარჯოთ ჩვენი თავისთავადობის დასაცავად, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ერთიანი ეროვნული სხეულის განსამტკიცებლად და არა რღვევისათვის! ჩვენი გზა არის ევოლუციური გზა! ჩვენ ავიტაცია-პროპაგანდის გაძლიერებით უნდა მოვახდინოთ საზოგადოებრივი აზრის მობილიზება! უნდა შევძლოთ ჩვენი ხალხის კონსოლიდირება გადარჩენის იდეის გარშემო და როცა ჩამოვყალიბდებით რეალურ და ანგარიშგასაწევე ძალად – კატეგორიულად და დაბეჯითებით უნდა მოვითხოვოთ ხელისუფლება-მთავრობისაგან საკანონმდებლო გარანტიები! აუცილებლად უნდა მოვითხოვოთ უმაღლეს სახელისუფლებო სტრუქტურებს ჩვენი დაცვა-განვითარების რეალური მექანიზმების შექმნა! აშკარაა, რომ მძლავრი საზოგადოებრივი ძალის

ფორმირების გარეშე ჩვენი სამართლიანი მოთხოვნები და ინიციატივები მუდმივად იგნორირებულია ხელისუფლება-მთავრობის მიერ! მიუხედავად ამისა, ჩვენ ამ მიმართულებით უნდა ვიღვაწოთ!

ვიმეორებ: ეს არის პრინციპულად სწორი გზა! ეს არის ევოლუციური გზა! ჩვენ არ გვაქვს უფლება რევოლუციაზე ვიფიქროთ, ვინაიდან ეს საბოლოოდ დაასამარებს ჩვენს იდეას! რევოლუციაზე მიწინააღმდეგე კი, კატეგორიულად მიუდგებილია და ამიტომ დაბეჯითებით მოეუწოდებ ამისკენ მიდრეკილ პერსონებს თავიდან ამოიგდონ ამაზე ფიქრიც კი!!! წინააღმდეგ შემთხვევაში – ჩემსა და ჩემი იდეური თანამოაზრეებისაგან ეს ყოველივე კვალიფიცირებული იქნება მარგალიტობების მიერ ინსპირირებულ პროვოკაციად!

თანამეამაფლენო!

ამ ბოლო დროს გარკვეული ძალების მიერ კვლავაა ინსპირირებული ძალიან უსიამოვნო აუიოტაჟი უდიდესი ქრისტიანული სიწმინდის, ღვთისმშობლის კვართის გარშემო... გაისმის ხმები, რომ მისი ადგილსამყოფელი არ შეიძლება ზუგდიდი იყოს, რომ ის ლეგიტიმურად სხვაგან უნდა იქნას გადაბრძანებული და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... მე გულწრფელად მინდა ვურჩიო ზოგიერთებს, რომ დიდი გულისყურით და ყურადღებით წაიკითხოთ ცნობები სულ ცოტა – ვიკიპედიიდან მაინც! ნებისთი თუ უნებლიეთ ნუ იზამთ ისე, რომ ღვთისმშობლის კვართმა არათუ ზუგდიდი, ხობი და სამეგრელო, არამედ, საერთოდ საქართველოს საზღვრებიც დატოვოს! ნუ დაგავიწყდებათ, რომ მისი კვალი შორეულ პლესტენში მდის! განგებამ იხეზა ისე, რომ ის ამჟამად დაბრძანებულია სამეგრელოს უპირველეს ქალაქში და ნუ შევცდებით ნურავინ – წინ აღუდგეთ მის ნება-სურვილს! ფრთხილად

თანამეამაფლენო! ფრთხილად! ღვთისმშობელი და მისი ღვთაებრივი ძე არ გაგვიწყრებს!!!

ზურაბ კვარაცხელია, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე

ზუგდიდიდან ღვთისმშობლის კვართის გადაბრძანებასთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქო განცხადებას აურცელებს, რომლის უცვლელად შემოთავაზებაც მიზანშეწონილად მიგვანჩნია: **“ზუგდიდიდან ღვთისმშობლის კვართის გადაბრძანებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ბუნდოვანი სიტუაცია შეიქმნა მას შემდეგ, რაც ხობის ადგილობრივი ხელისუფლებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები შეხვდნენ მის უწმინდესობას ყაზბეგში და გააფრცვლეს ინფორმაცია, რომ კათოლიკოს-პატრიარქი თანახმა იყო, ეს სიწმინდე ერთი დღით დაბრძანებულიყო ხობის მონასტერში; მაგრამ არ ითქვა იმ პირობის შესახებ, რომ პროცესს არ უნდა მოჰყოლოდა შფოთი და დაპირისპირება. მათი ნათქვამის მიხედვით, იქმნებოდა შთაბეჭდილება იმისა, რომ ეს თემა ყველა დონეზე იყო შეთანხმებული და პრობლემები არ შეიქმნებოდა, მაგრამ დღეს ქალაქ ზუგდიდში განვითარებულია მოვლენებმა სრულიად საპირისპირო სურათი წარმოაჩინა.** ბუნებრივია, მისი უწმინდესობაც და, ზოგადად, ეკლესიაც ასეთ ვითარებაში მხარს ვერ დაუჭერს ღვთისმშობლის კვართის გადაბრძანებას, რაც საქართველოს საპატრიარქოს 14 სექტემბრის განცხადებაშიც გარკვევით იყო დაფიქსირებული. შევნიშნავთ იმასაც, რომ რადგან ეს სიწმინდე დაცულია მუზეუმში, სახელმწიფოს მიერ და ეკლესია მასზე პატრონაჟს ვერ ახორციელებს, თავისი პოზიცია უნდა დააფიქსიროს ხელისუფლებამაც, მით უმეტეს, რომ თავიდან თანხმობა მათი მხრიდან იქნა გაცემული”, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

ქართული ჯარისკაცები ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ბაიბეზავრებიან

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ვეროკაქშირის ახალ სამხედრო მრჩეველთა მისიაში საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები 5-კაციანი შემადგენლობით ჩაერთვებიან. აფრიკაში გამგზავრებამდე სამხედროებს თავდაცვის მინისტრმა უმასპინძლა. შეხვედრას გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე და მისი მოადგილე, პოლკოვნიკი რომან ჯოხაძე დაესწრნენ. **„საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ წამოწყებული ნებისმიერი ქმედების თანამონაწილეა, რომელიც მსოფლიო უსაფრთხოებასა და მშვიდობას უზრუნველყოფს. ეს ბეგრჯერ დადასტურდა წლების განმავლობაში. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, მალიში, ფრანგებთან და გერმანელებთან ერთად მისია უკვე შეასრულეს ჩვენი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა. დღეს, როდესაც მისიის ტრანსფორმაცია მოხდა, შესაძლებლობების ფარგლებში, კვლავ ვესმარებით ოპერაციის წარმატებას“, –** განაცხადა თინათინ ხიდაშელმა. **„ქართული ჯგუფის ამოცანა იქნება, განახორციელოს სწრაფი რეაგირების მოქმედებები. ძირითადად, ეს იქნება ვეროკიდან გაგზავნილი მაღალი თანამდებობის პირების კონტინგენტის დაცვა, ესკორტირება. ამ პერიოდისთვის იქ ძალიან დაბალი ვითარება არ არის, მაგრამ ისეთი რეგინია, რომ ყოველ წუთს შეიძლება რაღაც მოხდეს. ჩვენი სამხედროები არიან სათანადოდ მომზადებული, ნამყოფები არიან უცხოურ მისიაში და აქვე გამოცდილებიან. დარწმუნებული ვარ, კარგად გაართმევენ თავს ამ ამოცანას“, –** განაცხადა ვახტანგ კაპანაძემ. ქართველი სამხედრო მოსამსახურეები ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სექტემბრის ბოლოს გაემგზავრებიან და მისიას 6 თვის განმავლობაში შეასრულებენ. **გამგზავრებით კი მიემგზავრებიან, მაგრამ საწუხარი ის არის, რომ ზოგიერთები ცოცხლები ვეღარ ბრუნდებიან შინ.** **სამინფორმაციო**

22 წლის უაქედო



27 სექტემბერს სოხუმის დაცემის 22 წელი შესრულდა. ამ დღეს აფხაზეთიდან დევნილები აღნიშნავენ აფხაზეთის დაკარგვის 22 წელს. ყველა ჩვენთაგანის ვალია გვახსოვდეს ეს ავადმოსაგონარი ტრადიციული დღე და მასთან ერთად მუდამ უნდა გვახსოვდეს ჩვენი წინაპრები და ამ ძმათაშორეულ ომში დაღუპულები. ვის არ უხარია, ვის არ სიამოვნებდა, როცა აღამიანის ცხოვრება ნორმალურად მიდის. ყველას ასე თუ ისე თავისი ბინა და სახლ-კარი, სამუშაო და სარჩო აქვს. ამ მხრივ, ჩვენც, აფხაზეთიდან დევნილები უფლის წყალობით არ ვემდუროდით ცხოვრებამ. მაგრამ სამწუხაროდ ეს სიამოვნება ჩვენი ზოგიერთი პოლიტიკოსების წყალობით შეგვაწვევინეს. ქვეყანა აირღაირა. შედეგად არ დააყოვნა და თითქმის ყველა ქართველი განდენილი იქნა აფხაზეთიდან. რა დამავიწყებს 1992 წლის 14 აგვისტოს, როცა აფხაზეთში რკინიგზის „ღამ-

ცველები“ და მხედრონელები შემოჭრიდნენ ქ. სოხუმში. რას არ ჩაიდინდნენ, რას არ კადრულობდნენ. ეჭვი გეგპარებოდა იმაზე, რომ ნუთუ ასეთი ქართველები საქართველოში ცხოვრობდნენ. საბოლოოდ კი აჩვენეს თავიანთი „მოღვაწეობის“ აუკარგი.

რკინიგზის „ღამცველები“ თვითონ ძარცვადნენ რკინიგზას და მოსახლეობისაც. გაზიდეს ყველაფერი რისი გაზიდვაც შეიძლებოდა. ამას დაემატა საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული მორღიორები, მართალია ზოგიერთი მათგანი იბრძოდა, მაგრამ უმრავლესობა საშოურად იყო ჩამოსული და ისინი დღეს ომის მონაწილეებად ითვლებიან და სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეღავათებით.

სამწუხაროა, მაგრამ საქართველოს მთავრობის მხრიდან ასეთი ყნაილობის აღსაკვეთად არავის ეცაღა...

ასეთ საქმეზე კი არა მათი მხრიდან ერთი კონსტრუქციული ნაბიჯი არ გადადგმულა აფხაზეთ მხარესთან დიალოგის მცდელობაზე. პირიქით კეთლებოდა ის რაც უფრო აღრმავებდა დაპირისპირებას. თუმცა ქართველთა მხრიდან იყვნენ თავდადებული მეომრები, რომლებიც თავიანთი სიცოცხლეს სწირავდნენ სამშობლოს დასაცავად. ამისი მაგალითია 1993 წლის 15-16 მარტის გუმისთაზე შეტევა და უფრო გვიან ტამიშის დესანტთა განადგურება, რომელმაც ჩვენი ჯარის შესაშური გმირობა აჩვენა.

სეპარატისტებმა მაშინვე დაიწყეს სოხუმზე შეტევისათვის მზადება. ფსოუს საზღვარი გადმოლახეს და ეშერის მიმართულებით შემოვიდა საბრძოლო იარაღით დატვირთული ვაგონები.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამხედროები აფრთხილებდა შევარდნაძეს – მოწინააღმდეგე სამშვიდობო ხელშეკრულებას დადარდევს, როგორც მთავარსარდალმა, იარაღი არ გადაძალდა?

სწორედ შევარდნაძემ სოხუმი და მთელი აფხაზეთი მოწინააღმდეგეს ჩააბარა. ათალობით აფხაზეთის ქართული მოსახლეობა

დევნილებად აქცია და გაუყენა გოლგოთის გზას, თვითონ კი თვითმფრინავით თბილისში ჩამოფრინდა.

შევარდნაძემ, როგორც სამშობლოს გამყიდველი უნდა გასამართლებულიყო, მაგრამ უკვე გვიანაა – გავიდა 22 წელი, მაგრამ რატომ არ შეიძლება, მისი როგორც სამშობლოს გამყიდველად აღიარება?

დღეს როგორც დევნილებს, ისე საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას მიანია, ჯერ აფხაზები და ქართველები უნდა შერიგდნენ. ამიტომ შექმნილია არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციები ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხთა მოსაგებლად. მათ შორის, ჩვენც, მოხუცებმა, მამანტი ჯოლიას ინიციატივით. შევქმენით ნდობის აღდგენისა და შერიგების უხუცესთა საბჭო კოტე მარშვას თავმჯდომარეობით, რომლის წევრიც მეც ვახლავართ.

დიდ სამამულო ომში გამარჯვების 69 და 70 წლისთავზე, „გამარჯვების მემკვიდრეობის“ ყრილობაზე მონაწილეობისათვის მოსკოვში მივლინებულ იქნა ოლეგი ჯოლია, სადაც იგი შეხვდა აფხაზეთის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს გუნბას. საუბარმა გულთბილ ვითარებაში ჩაიარა და იგი გადაცემულ იქნა ტელეარხით. ხოლო 2015 წლის 24 მაისს ყრილობის პრეზიდენტის კალიკინის მეშვეობით შედგა ოლეგი ჯოლიას შეხვედრა აფხაზეთიდან ჩამოსული ომის ვეტერანებთან, საუბარმა აქაც თბილ ვითარებაში ჩაიარა და გადაწყდა აფხაზეთის დევნილობის ახლო ნათესავებისა და მშობლებს სასაფლაოების მონახულების საკითხი. 6 კაცის სია უკვე გაგზავნილია, სიაში ჩემი გვარიც ფიგურირებს და თუ ჯანმრთელობამ არ მიღალდა აუცილებლად წავალ იმისათვის, რომ არა მარტო ჩემიანების, არამედ აფხაზი მეგობრების საფლაოებზე მოვიხაზულო.

აფხაზეთთან შერიგებისა და დაახლოების საუკეთესო მეთოდი არამარტო ერთმანეთის წინაშე პოლიშის მოხდა, არამედ ყველა ქართველმა, მინისტრია იგი თუ რიგითი მოქალაქე, უნდა იფიქროს იმაზე,

თუ რა შეიძლება გაკეთდეს ორივე მხარის სასარგებლოდ.

ჩვენ აფხაზეთის უხუცესები მივესალმებით აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრს ბატონ დიმიტრი ჯანის და მხარს ვუჭერთ მის მიერ ა/რ 14 აგვისტოს გაზეთ „ახალთაობაში“ გამოქვეყნებულ წერილში დაყენებულ საკითხებს, როგორცაა ქართული, აფხაზეთი კულტურის ურთიერთობათა აღდგენა, ქართულ სკოლებში აფხაზეთი ენის შემოღება და ასევე სახალხო დიპლომატიის აშუშაება.

ასეთი მეთოდით უნდა იქნას საკითხი დაყენებული და არა ისე, რომ ზოგიერთი გამოდის ტელევიზიით და იძახის: ბოდიში მარტო სოხუმელ ქართველებს აქვს მოსახლდელი, რადგან იარაღი აიღეს აფხაზეთის წინააღმდეგო. წარმოიდგინეთ, როცა ეს ბანდა შემოვიდა აფხაზეთში, გავრცელდა ზვიად გამსახურდიას ხელნაწერი ფრაზა: **„დაუდგეთ აფხაზებს გვერდით და ეს ბანდიტები არ შემიშვათ“.** დაჯირითობდნენ **“მხედრონელები“** და სოხუმელ ქართველებს მოღალატეებად გენათლავდნენ. ისმონდა ყარყარაშვილის ცნობილი ფრაზა **„საჯიშედაც კი არ დაგვრეგებ აფხაზებს“...** სოხუმის მშვიდობიანი მოსახლეობას რა უნდა ექნა, როცა დღისით თუ ღამით აყანალებდნენ ჩვენივე სამხედროები და მხედრონელები, აფხაზეთი ენაზე შედგენილ საბუთებს უხევედნენ.

22 წელი გავიდა აფხაზეთის დაკარგვიდან... რეალურად არაფერი იცვლება... კვლავ ერთმანეთის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლაა განაღებული... ერთმანეთს ვჭამთ, ვკვლავთ, ვლადებთ... ქართველებს საქართველოდან ვდევნით... ქართულ მოსახლეობას ვამცირებთ... გრძელდება შუღლი და დაპირისპირება... ამას დასასრული არ უჩანს...

გამოფხიხლდით!!! **მირიან ჯალაღონია, აფხაზეთის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, უხუცესთა საბჭოს წევრი, მწერალი, აკადემიკოსი**

ვაჟა-ფშაველას ბევრი სიყვარული: ბუგბარაჟი პოეტი "სოლაგი" და სიყვარულის ისტორიები



ვაჟა-ფშაველას ნამდვილი სახელი შეიძლება ბევრმა იცოდეს, თუმცა ბუგბარაჟი პოეტის პირადი ცხოვრება და სიყვარულის ისტორიები ცოტამ ცნობილია, რომ ვაჟას ორი ცოლი ჰყავდა, სიყვარულით კი ბევრჯერ ჰყვარებია, თუმცა საპირისპირო სქესის სიყვარულში ხშირად ვერ უტყდებოდა.

ლუკა რაზიკაშვილის პირადი ცხოვრების დეტალებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ შარაბაძე საუბრობს.

“ვაჟა, როგორც თავის დაუმთავრებელ ავტობიოგრაფიაში წერს, ხშირად ყოფილა შეყვარებული, მაგრამ ეს სიყვარული დარჩენილია მასში, სანამ ერთხელაც ამილახურის უკანონო შვილს სიყვარულში არ გამოუტყდა.

ვაჟა ცნობილი თავადის, ოთარ ამილახურის ოჯახში შინა მასწავლებლად მიიწვიეს, სწორედ ამ ოჯახში შეუყვარდა ამილახურის უკანონო შვილი, დაქვრივებული ქალი კეკე. იმ დროს უკანონო შვილი შეიღაც არ ითვლებოდა, ამიტომ კეკეს დედის გვარი, ნებეირიძე ჰქონდა. ის იყო ძალიან წყნარი და მშვიდი. ვაჟასთან ოთხი შვილი – თამარი, მარიამი, გულქანი და ლევანი შეეძინა, მესამე შვილზე კი მშობიარობას გადაჰყვა.

კეკეს სიკვდილის დროს ვაჟა მასთან არ ყოფილა. პოეტი ხშირად დადიოდა თავის დასთან ვარვარულში, სადაც ნადირობდა და სხვა პრო-

დუქტებთან ერთად ოჯახში ნანადირევიც მიჰქონდა. კეკეს ნადირევი მშობიარობა დაეწყო, სახლში არავინ იყო, ბავშვები ვერც კი მიხვდნენ, რომ დედა გარდაიცვალა, მეზობლებმა მას შემდეგ შეიტყვეს, როდესაც შიშველი ბავშვები გარეთ გამოცვივდნენ.

ყვარულში ფშაველან კაცი ჩამოვიდა და ვაჟას უთხრა “ვაჟა ცოლ-შვილი გიყვითის”. როგორც გადმოსცემენ ამის გაგების შემდეგ ვაჟამ დალია, ფანდური აიღო და სწორედ მასში შეიქმნა მისი ლექსი “იას უთხარით ტურფასა, მოვა და შეგჯამს ჭიათ”. ამ ლექსში მან თავისი გულისტყვილი ჩააქსოვა.

კეკეს გარდაცვალების შემდეგ ვაჟას შვილების აღზრდაში მისი ძმის, ბაჩანას ცოლი ეხმარებოდა, მაგრამ ყველამ ურჩია, მორე ცოლი მოეყვანა. პოეტის რჩეული თამარ დიდებაშვილი გახდა. ვაჟა მასთან ერთად ქალის დასანიშნად წავიდა. არსებობს თამარის მამასთან დადებული ხელშეკრულება, სადაც წერია, რომ ვაჟას ეს ქალი ხასად მოჰყავდა, მაგრამ ხასა საყვარელს არ ნიშნავდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ვაჟა შეხედავდა თამარს თუ როგორ მოუწვდიდა მის შვილებს, ოჯახს და ამის შემდეგ გადაწყვიტდა დაეწერა თუ არა მასზე ჯვარი.

ხელშეკრულების დადების შემდეგ ვაჟამ ქალი მალაროსკარში ჩამოიყვანა, სადაც შვილები და ძმა ელოდებოდნენ. არსებობს ვაჟას შვილის, გულქანის ასეთი მოგონება – ბაჩანას ცოლს პატარებისთვის უთქვამს, რომ დედა მიღისო, ბავშვებიც მიცვივდნენ და ცხენზე მჯდომ თამარს შემოეხვივნენ, მან კი პატარებს ცოტათი ფეხი გაჰკრაო. თამარი უცხო ოჯახში შედიოდა და შეიძლება ნერვიულობდა, ბაჩანას ცოლს კი უთქვამს, თამარ ესენი ობლები არიან და დემრთი არ გააპატივბო.

თამარს შეეძინა შვილი ვახტანგი, მაგრამ კამათობენ, რომ ვახტანგი ვაჟას შვილი არ იყო. ამბობენ, თამარს რკინიგზელი მუშა უყვარდა, რომელიც დაიღუპა და ვახტანგი მისგან ჰყოლია. როცა ბავშვი ეყოლა, ვაჟასთან ცხოვრობდა, მაგრამ პოეტის შვილიშვილები ინტერვიუებში ამბობენ, რომ ვახტანგს ვგარი რაზიკაშვილი მერე მისცესო, ეტყობა ვაჟა ყოყმანობდა მიეცა თუ არა მისთვის გვარი.

ვაჟა რომ გარდაიცვალა, თამარი ცოცხალი იყო. როდესაც ცოლ-შვილი პანაშვილზე ჩამოვიდა, მათ დანახვაზე ეკლესიის ეზოში მდგარი ხალხი ორ ნაწილად გაიყო, ოჯახმა პოეტი ხმაძალდა ვერ დაიტერა, რადგან სოფლიდან ჩამოსულები ძალიან მორცხვები იყვნენ. მოგვიანებით თამარი და გულქანი ამბობდნენ, არ გვევონა მამა ასეთი დაფასებული და დიდი თუ ყოფილაო.

თააკ უსუზა

კაცობრიობას გლობალური პატასტროფა ემუქრება, რომლის აღმოსაფხვრელად მთელი მსოფლიოს ბიუჯეტი იქნება საჭირო

დღეს, როცა უძლიერესი ხესახ-ელმწიფოები ერთმანეთს ეპიტიგალებიან და ცდილობენ უკვე მერამდნელ გადაინაწილონ მსოფლიო, დედამიწას ისეთი საფრთხე უახლოვდება, რომელმაც უახლოეს წლებში ერთ საფლავეში შეიძლება ჩააწიონ გამარჯვებულიცა და დამარცხებულიც! ვერ შეუწინაოთ გამდიდრების სურვილით დაბრმავებულ ბობოლებს, რომ შეიძლება ჩვენზე უკეთესად იკვებონ, დაისვენონ და ჩაიცივან, მაგრამ ჩვენთან ერთად უნდა ისუნთქონ ის ჰაერი, რომელიც უფალმა გვიბოძა და რომელსაც შესაშური მონდომებით წამლავენ მსოფლიოს დიდი თუ პატარა კორპორაციები! უკვე აშკარად იგრძნობა ჰაერში ჟანგბადის ნაკლებობა, რაც მომავალში გულს სისხლძარღვთა დაავადების მქონე პირთათვის, ზოგჯერ უკვე საფრთხის სიღრმეებში დგას, რაც ანადგურებს მოსავალს, მიწათმოქმედებისათვის უვარგისს ხდის გაუდაბნოებულ ნიადაგს, შრება მდინარეები, კვლავ ხელაღებით იხეხება ტყის მასივები...

ერთის სიტყვით, დედამიწაზე ადამიანის უაზრო, მავნებლური ქმედებების გამო ჩამოყალიბებულია ერთგვარი “გრაფიტაციული სამარე”, რომელიც უსწრაფესი ტემპებით შთანთქავს ადამიანების საარსებო რესურსებს!

გვიან, მაგრამ მაინც იგრძნეს რა მოახლოვებულ საფრთხეს ამერიკელმა, რუსმა, შვედმა, პოლანდიელმა, ინგლისელმა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელმა მეცნიერებმა გააერთიანეს ძალები არქტიკული მყინვარების ღლიბის საფრთხეების შესასწავლად, რათა წინ აღუდგნენ მოსალოდნელ კატასტროფას. მოვლენების ყველაზე ცუდი სცენარით განვითარების შემთხვევაში, კაცობრიობას გლობალური კატასტროფა ემუქრება, რის არ-

მოსაფხვრელადაც საჭირო იქნება მთელი მსოფლიოს ბიუჯეტი.

გასულ წელს შეიქმნა ორი საერთაშორისო არქტიკული ექსპედიცია, რომელიც იკვლევდა მთელი პლანეტის კლიმატს. ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის სიღრმეებში, 100 მეტრით ქვევით აღმოჩენილია მეთანის დიდი რაოდენობა. გათხრების მონაცემების თანახმად, ყინულის მთები უკვე ტრანზიტში იმყოფება. უკანასკნელ ექსპედიციაზე მეცნიერებმა მეთანის ნარჩენების სუთანასი ანთომალური მოდელი აღმოაჩინეს.

მყინვარების დნობა იწვევს ატმოსფეროში მეთანის გამოყოფას, ამან კი შესაძლოა უპროგნოზო კუთხით მოახდინოს გაველენა დედამიწის ეკოლოგიაზე. მეცნიერები მოვლენების განვითარების სულ ოთხ ვარიანტს განიხილეს: ყველაზე ოპტიმისტურს და ყველაზე პესიმისტურს, რომელსაც კატასტროფული შედეგები მოჰყვება. ამ პროგნოზის თანახმად, ატმოსფეროში გაიფანტება 5 პროცენტზე მეტი მეთანი და მეთანის კონცენტრაცია გაიზრდება. ასეთი სცენარის შემთხვევაში, შედეგებთან ბრძოლას 70 ტრილიონი დოლარი დასჭირდება.

მეთანის ნარჩენებმა და ნახშირწყლის აირმა, რაც ყინულების ღლიბის შედეგად გამოიყოფა, ათი წლის განმავლობაში შესაძლოა დედამიწა კრიტიკულ ტემპერატურამდე “გაათბოს”, რაც გლობალური კატასტროფის გარანტი იქნება.



როგორ დაარსდა და რა აღმოჩენები კეთილმოღვა საუბუნოვანი ისტორიის მქონე აბასთუმნის ობსერვატორიაში

საქართველოში ბევრი ღირსშესანიშნავი დაწესებულებაა, რომელთაც ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, თუმცა მათზე საზოგადოებას, ახალგაზრდებს ზერევე და ზედპირული წარმოდგენა აქვთ. ამჯერად საქმე აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას ეხება, რომელიც 8 ათეულზე მეტი წლისაა. ის ყანობილის მთაზეა დაარსებული და ქართველი ასტრონომები იმ ადგილიდან და იმ პერიოდის მოყოლებული დღემდე, ცას აკვირდებიან და სამყაროს საიდუმლოებების ამოხსნას ცდილობენ. ასე რომ, ეს ადგილი ერთ-ერთი სერიოზული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, ამასთან, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეც. დაახლოებით 8 წლის წინ, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა და ერთ-ერთი სერიოზული სასწავლო ცენტრიც გახლავთ, სადაც ამ დარგით დაინტერესებული ახალგაზრდები პროფესიულად ყალიბდებიან.

რეალურად კი აბასთუმნის ობსერვატორიის ისტორია სათავეს XIX საუკუნის ბოლოს იღებს. კერძოდ, რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის ძმის, გიორგი რომანოვისა და რუსი ასტრონომის სერგეი გლაზუნაჟის ხელმძღვანელობით: 1892 წელს აბასთუმანში, პირველი ობსერვატორია აშენდა. იმ ობსერვატორიამ რამდენიმე წელიწადში არსებობა შეწყვიტა, თუმცა იქ დღესაც არის იმდროინდელი სატელესკოპო კოშკი, რომელსაც “გლაზუნაჟის კოშკის” სახელი ჰქვია. რაც შეეხება გიორგი რომანოვს, ტუბერკუ-

ლოზით იყო დაავადებული და იმპერიის საუკეთესო ექიმებმა აბასთუმანში მკურნალობა ურჩიეს. აბასთუმნის კლიმატისა და აბანოების სამკურნალო თვისებები ოდითგანვე იყო ცნობილი. ხოლო როდესაც რუსეთის იმპერიის ჯარები საქართველოში განლაგდნენ, სამხედრო ექიმები გაკვირვებით აღნიშნავდნენ, რომ დაჭრილთა მკურნალობა აბასთუმანში, სხვა ადგილებთან შედარებით, წარმატებულად მიმდინარეობდა.

აღნიშნული დაწესებულება დაბა აბასთუმანში, ზღვის დონიდან 1700 მეტრზე, თბილისიდან 200 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ობსერვატორიის დაარსების კონკრეტული თარიღი 1932 წლის 28 თებერვალია და ამ საქმის ინიციატორი, სულის ჩამდგმელი პროფესორი ვეგენი ხარაძეა. იმ პერიოდის საბჭოთა სივრცეში ეს დაწესებულება პირველი სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია გახლდათ. ობსერვატორიის სამეცნიერო კვლევების მიმართულებებია – გალაქტიკების, ვარსკვლავების, მზის ფიზიკის, მზის სისტემის ცთომილებისა და დედამიწის ზედა ატმოსფეროს შესწავლა.

აბასთუმნის ობსერვატორიაში 1942 წელს ქართველი ასტრონომის გიორგი თევზაძის მიერ აღმოჩენილ იქნა მანამდე უცნობი, ორი ახალი “კუდიანი” ვარსკვლავი “კომეტა”, რომელთაც “კომეტა 1942 თევზაძე I” და “კომეტა 1942 თევზაძე 2” ეწოდათ. ეს პირველი ქართველის მიერ პირველი ასტრონომიული აღმოჩენა იყო. ამის გამო წყნარი ოკეანის ასტრონომიულმა კორპორაციამ

სან-ფრანცისკოში გამართულ საერთაშორისო ასტრონომთა ყრილობაზე გიორგი თევზაძე “ვოლფ დონოპოვი” მედლით და სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა.

1932-1933 წლებში აბასთუმნის ობსერვატორია საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობის კუთვნილება იყო, 1934-1935 წლებში კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში გახლდათ. 1936-1940 წლებში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის, ხოლო 1941 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის შემადგენლობაში შედიოდა.

ობსერვატორია 2007 წლიდან, როგორც უკვე ვთქვით, ინტეგრირებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და როგორც “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია”, ასე იწოდება.

აბასთუმნის ატმოსფერო ყველანაირად აკმაყოფილებდა იმ პირობებს, რაც ცაზე ასეთი დაკვირვებისთვის არის აუცილებელი, რადგანაც იქაურობიდან ყოველთვის შორს იყო ინდუსტრიული ადგილები, გამოირჩეოდა მოწყვნილი ჰაერითა და უქარო ამინდებით. ჰაერი ისეთი გამჭვირვალეა, რომ პლანეტა ვენერას შეუიარაღებელი თვალით ნახვა ზოგჯერ დღისითაც კი შესაძლებელია.

ობსერვატორიის დაარსების წელს საბჭოთა კავშირში დამზადებული პირველი ტელესკოპი (33 სანტიმეტრის დიამეტრის

მქონე სარკიანი ტელესკოპი) დადგეს. მოგვიანებით გერმანული ფირმა “კარლ ცაისის” მიერ დამზადებული 40 სმ-იანი რეფრაქტორი (ლინიანი ტელესკოპი) დაიდგა, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

ობსერვატორიის პირველი დირექტორი მისივე დამაარსებელი, 24 წლის ვეგენი ხარაძე გახლდათ, რომელიც 60 წლის განმავლობაში დირექტორობდა ობსერვატორიას. 1976 წელს გერმანელმა ასტრონომმა რიჰარდ ვესტმა, აღმოაჩინა ასტროიდი და მას ხარაძის სახელი დაარქვა...

ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობა, პირველ რიგში მეცნიერებაზე და, მათ შორის, ასტრონომიაზეც აისახება. გასული საუკუნის 90-იანმა წლებმა სერიოზული გავლენა იქონია ობსერვატორიაზე, მაგრამ ზოგჯერ ის არსებობას საერთაშორისო გრანტების დახმარებით განაგრძობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ავად თუ კარგად საქმიანობა არ შეწყვეტილა და როგორც ამბობენ, ყველაზე მძიმე წლებშიც კი დამთვალეობების ნაკადიც არ წყდებოდა.

მოკლედ, ცასა და ვარსკვლავებზე დაკვირვება, ასევე ასტრონომიაზე საუბარი კარგი აბასთუმანშია, სადაც მეცნიერებს არაერთი საინტერესო რამ აღმოუჩენიათ.

დღესაც არა მარტო საქართველოს კუთხებიდან, არამედ უცხოეთიდანაც უამრავი ტურისტი ჩამოდის. აბასთუმნის ცის კარიბჭე მსურველებისთვის ღიაა.

ლალი შანი



ილოროს მეფე გუბაზი — ნათელი ოცნების მოღვაწე!



გაზეთ „ილორი“-ს 2015 წლის 11-18 აგვისტოს ნომერში, მკითხველს შევთავაზებ...

ანუ კოლხები არც ხარკას, არც განსაკუთრებულ გადასახადს არ უგზავნიდნენ...

ეგრის-ლაზიკისა და ბიზანტიის ამგვარ დამოკიდებულებას იზიარებს თითქმის ყველა მეცნიერი...

ასეთი ვითარებაც ხელს არ აძლევდა გუბაზს პირველს, მას სურს მოიპოვოს სრული დამოუკიდებლობა...

ბიზანტიის რეაგირებამ არ დააყოვნა. კეისარი მაკრიანე მოხუცია და უძალო. იცის ეს გუბაზმა...

აქ უკვე ცხადია, რომ ომი მოხდა. ბიზანტიელი ისტორიკოსები მოვლენებს არბილებენ...

„მინდორი ერთბაშად ჩაინგრა. მიწამ

შთანთქა მოიერიშე ლაშქარი. შემაზრხენი ბდავილი ამოსკდა ზეცას მიწისგულიდან“.

ნასტიკი დაპირისპირება, რომ შედგა და გუბაზ მეფის გონებამახვილურმა სტრატეგიულმა...

როგორც სწავნის, დახმარების გარეშე დარჩენილი „მოქიშენი“ ერთმანეთს პირისპირ რჩებიან...

ისტორიკოსები ნაწილი გამოთქვამს მოსაზრებას, თითქოს გუბაზმა პირველმა მიმართა კეისარს მშვიდობიანად მოვილაპარაკოთ...

თუ მაინც დაუშვებთ, რომ მოლაპარაკებისკენ გუბაზმა გადადგა პირველი ნაბიჯი, განპირობებული იყო დიპლომატიური თვალსაზრისით...

პრისკე პანთიელი განმარტავს, რომ „ამ მოთხოვნით ბიზანტიის ხელისუფალს განზრახული ჰქონდა მამა-შვილის შორის ქიშპის ჩამოფეხვა“.

აქ აშკარაა რისთვის აღიარეს მეამბოხედ გუბაზი. რომ თანამეფედ საკუთარი ძე დაიხვია...

ბიზანტიის იმპერატორი ხდება ლეონ პირველი. მას როტული ჟამი უდგას. ფაქტობრივად ებრძვის ვანდალებსა და შიდა პოლიტიკური მდგომარეობა იმპერიაში აწეწილია...

დამოუკიდებელი ქვეყნის მართვას. გადის არაერთი წელი, ბიზანტია ამჯერად მრჩეველ დიონისეს ავალებს მოავგაროს და ალაღინოს „ჩატეხილი ხიდი“ ეგრისთან...

ისტორიკოსი პანთიელი: „მოლაპარაკება როგორც სწავნის დიდხანს გაგრძელდა, გუბაზი მხოლოდ კონსტანტინეპოლში მომხდარი ხანძრის შემდეგ ჩავიდა“.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „გუბაზმა თვითონ თქვა უარი მეფობაზე და კეისარს სთხოვა ჩემს შვილს ნუღარ ემტროს“ ტომი-1 გვერდი 222.

ბიზანტიაში ჩასული გუბაზი კი გაიქცხეს ამბოხებისთვის, მაგრამ ამ შვილობილ გამოსტუმრებს სამშობლოში. იგი ორმაგად გამარჯვებული დაბრუნდა შინ.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ამ პერიოდში ქართლში მეფობის და მტერს მდგომარეობის, გაუტეხელი ვახტანგ გორგასალი. ეგრისელები და მათი მეფე გუბაზი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ერთმანეთს მიმართ...

საკუთარი გუბაზი და მისი ძე, დამნაშავე არა მხოლოდ შეიფარებენ დევნილ მეფეს, არამედ, დახმარების ხელს უწვდიან გორგასალს, მას ჯარს ახმარენ, რომ უკან მიბრუნებულმა კვლავ გააგრძელოს ბრძოლა.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ავლენს ქართველ ერთგომთა თანადგომას შორეული წარსულიდან და გვიჩვენებს ნათელ მაგალითს, როგორ იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები ქვეყნის ერთიანობისა და თავისუფლებისათვის.

რაც შეეხება გუბაზ პირველის შთამომავალთა რიგითობას, ვინაობასა და თარიღებს, ეს საკითხიც კვლევის საგანია. ახლო მომავალში მკითხველს შევთავაზებ საკუთარ მოსაზრებას ამ საკითხზე.

ბორის ღაზიტაია საქ. მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს ნამდვილი წევრი, აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი

გაზეთ „ილორი“ თანაუგრძნობს ჩხოროწყუს რაიონის მუნიციპალიტეტის თანამშრომელს ქალბატონ თამარ ქობალიას მამის თემურ ქობალიას უღროდ გარდაცვალების გამო

ვაზის გაჩენა თუ პროვოკაცია – ქველი სხენის ახლებური გათავისუფლება



აღნიშნა მხარის რწმუნებულმა ირაკლი შიოლაშვილმა.

„მას ამავე დროს აქვს ახალი გაშენებული ვაზი, დაახლოებით 2 ან 3 წლის. როგორც ადგილზე სოფლის რწმუნებულს მეუბნება, მას სურდა ვაზის გამოხშირვა. აღსანიშნავია ისიც, რომ გელა გრიშენკო და დედამისი ნუნუ გრიშენკო ამ აქციების დროს გვერდიდან არ მოშორებიან „ნაციონალურ მოძრაობას“ და ბატონ ლეონი-აშვილს. ნუნუ გრიშენკო ჰყავდა ლეონი-აშვილს წყვანილი პარლამენტის ცნობილ სხდომაზე, როგორც მათი დიდი ქმარი და მხარდამჭერი. ასე რომ, ეს პროცესი იყო პოლიტიზირებული“, – განაცხადა შიოლაშვილმა.

რამდენიმე წლის შემდეგ, კახეთში კვლავ ვაზის გაჩენის სცენა გათავისუფლდა. ამჯერად მოვლენების ეპიცენტრში მოექცა სოფელი კარდენახი, სადაც უკმაყოფილო გლეხმა ვენახზე ხელი აღმართა. ვაზის გაჩენით ვენახზე გათავისუფლება ჯერ კიდევ პიკში იყო, როდესაც სიმართლე გაირკვა და სართველო პროვოკაცია მალე გამოაშკარავდა.

სანამ ეს ყველაფერი გაირკვეოდა, კარდენახში მოვლენები შეძლებულა სცენარით განვითარდა. სხვადასხვა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ მევენახე გელა გრიშენკომ მსხმოიარე ვაზი გაჩენა.

„განა მართლა 70 თეთრად იბარებენ ყურძენს? ქარხანაში რომ მიგაქვს, 2-3 დღე რიგში დგახარ დატვირთული მანქანით. მერე გიწვენენ ყურძენს და 60 თეთრს გადაგიხდითო. 3 დღის ყურძენს სადღა წაიღებ? იძულებული გავხდი და ჩავაბარე. გამაწამეს ქარხანაში. მასხრად გვიგდებენ მევენახეებს. რაც დავხარჯე იმასაც ვერ ვინახავთ. ოჯახი ხომ უნდა ვარჩინო? ერთი კილოგრამი წიწკა 130 ლარი ღირს. ვენახი გაჩენე და წიწკას მაინც მოვიყ-

ვან“, – აღნიშნა გრიშენკომ კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბრისას.

„ბატონი ივანიშვილი ხომ დაგვებრდა ყურძენი 1 ლარი იქნებაო, რატომ არ შეასრულა დაპირება? აი, სადამდე მივიყვანა, ახლადგაშენებული ვენახების გაჩენა დაიწყო ხალხმა. გადაწყვეტილი მაქვს, რომ მეც უნდა გავჩენო. ახრი არ აქვს, ზარალია. სხვა შემოსავალი ჩვენ არ გვაქვს და ოჯახი რამით ხომ უნდა ვარჩინოთ“, – აღნიშნა მევენახე მალხაზ ნანობაშვილმა.

კახეთის გუბერნატორმა, რომელიც თავად მივიდა კარდენახში გამოარკვია, რომ ტერიტორია, სადაც გაჩენილი ვაზი იყო, არ ეკუთვნოდა გელა გრიშენკოს.

„ტერიტორია გვაჩვენეს, სადაც იყო ვაზი გაჩენილი. ეს ტერიტორია არ ეკუთვნის ამ ადამიანს, ეს ეკუთვნის დომენტი-შვილ გოდერძის, რომელსაც 25 მეასედი ვაზი ჰქონდა ადრეული ჯიშის. მან ეს ადრეული ჯიშის ადრევე დაკრიფა და იმ ადგილზე ბატონ გოდერძის რეაქტივის ჩაყრა სურდა და ამისათვის გადაჭრა ეს ძველი ვაზი.“

სამწუხაროდ, ტელევიზიებმა ჩვენ, როგორც მაყურებელს და მსმენელს შემოგვატყუეს ისე, თითქოს ეს ვაზი იყო დღეს გაჩენილი და გაჩენილი იმისთვის, რომ ადარ სურდა ვინმეს ვაზი. ეს არის ცალსახა პროვოკაცია. ეს არის დადგენილი სპექტაკლი“, – განაცხადა კახეთის გუბერნატორმა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის, გიორგი სამანიშვილის განცხადებით რთველის პროცესი ამჟამად შეფერხების გარეშე მიმდინარეობს. მისი თქმით, გლეხების პროტესტი „სასვებით ლოგიკური იყო“ და მსგავსი ვენახთაღელვა რთველის დაწყებას წლებია მუდამ თან ახლავს.

„პროცესი მიდის ნორმალურად, გემის მიხედვით. პრობლემები პრინციპში არც რთველის დასაწყისში იყო და დღესაც შეფერხების გარეშე მუშავდება კახეთში ყურძენი. პროტესტი და ვენახთაღელვა რთველის დასაწყისში გვაქვს ყოველ წელს და გამონაკლისი არც წელევანდელი რთველი ყოფილა. ვითარება დარეგულირდა და მას შემდეგ რაც ყურძენი დამწიფდა, ის მუშავდება და ბარდება შეფერხების გარეშე“, – აცხადებს სამანიშვილი.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადაამუშავდა 36 ათას ტონამდე ყურძენი, მათ შორის, 14 ათას ტონამდე რქაწითელი, 16 ათას ტონამდე საფერავი, 1,4 ათას ტონამდე კახური მწვანე და 5 ათას ტონაზე მეტი სხვა ჯიშის ყურძენი. კახეთის რეგიონში ყურძენის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 21 მლნ ლარს მიაღწია. ამჟამად რთველი კახეთის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს.

ბექა დანელია

ეროვნულ საბანძურს შემატებული 49 მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ორტომეული



მხოლოდ სამეგრელოში კი არა, საქართველოს არც ერთ სოფელში არ მეგულეობა ოჯახი, რომელსაც ნანახი არ ჰქონდეს ის ასი უბრწყინვალესი მარგალიტი, რომელიც მეგრულიდან ქართულ სალიტერატურო ენაზე გარდათქვა და რვა წლის წინათ თავისივე შესავალი წერილითურთ „ასი ლექსის“ სათაურით წიგნად გამოსცა ფართო საზოგადოებისათვის კარგად ცნობილმა მრავალწლოვანმა ავტორმა, ქურნალისტმა, ლიტერატორმა და მთარგმნელმა, ფილოლოგიის დოქტორმა, საქართველოს პუბლიცისტურულ და სახელმწიფო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ბატონმა გივი ბოჯგუამ. ამ ხელნაწილს ავტორმა ახლახანს მკითხველებს კიდევ ერთი სახელე შეთავაზა – „ქართველ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების“ ორტომეული, იგი შექმნა ქალბატონ ლია შალვაშვილის იდეითა და პროექტით და მკითხველებს წარუდგინა გამომცემლობა „შემეცნება“.

იმორებს მავანი, მათ შორის ქვეყნის ერთ-ერთი უპირველესი თეატრი), სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ჭაბუა ორბელიანი, ბესიკი, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებეშვილი, დავით კლდიაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, გიორგი ლეონიძე, ლადო ასათიანი და მირზა გელაშვილი! – აი, იმ მწერალთა სრული ჩამონათვალი, რომელიც პირველ ტომშია შეტანილი და საბაზო განათლების მიღებისას სწავლობენ ჩვენი შვილები და შვილიშვილები. ახლა კი ისიც გავისივრებანათ, რას სწავლობენ ჭაბუკები და ქალიშვილები მათე-მეთორმეტე კლასებში.

მათი ჩამონათვალი ასეთია: **სიმონ ჩიქოვანი**, ირაკლი აბაშიძე, ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, რევაზ ინანიშვილი, არჩილ სულაკაური, ნოდარ დუმბაძე, მუსხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშინიძე, თარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ჭეიშვილი, ნუგზარ შატაიძე, იაკობ ხუცესი, იოანე საბანიძე, გიორგი მერჩულე, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, პოლიკარპე კაკაბაძე, გურამ რჩეულიშვილი, გურამ დონანაშვილი, ჯემალ ქარჩხაძე.

თვალი გამიბრბოდა იმის მოლოდინში, რომ ამ ჩამონათვალში ენახავდი ბევრ სხვასაც, მათ შორის წარსულიდან თუნდაც რუსთაველის თანამედროვე ორ გენოსს – შავთელსა და ჩახრუხაძეს, ჩვენი წინა თაობიდან კი „პაკი აბასა“ და „მწვენი ღილის“ ავტორებთან ერთად გრიგოლ რობაქიძესა და კოსმოსისაკენ სწრაფვით დაფრთხილ ტერენტე გრანელს. მაგრამ, როგორც იტყვიან: „რაც არ არი, არ არი“ და ვერც ავტორი „აფრენდა ალალს“, რადგან ამჯერად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკლამენტი უნდა დაეცვა. თუმცა აქვე ისიც ხაზგასმით სათქმელია, რომ, რაც ორტომეული შიამოქმედებული, მკითხველად არა მარტო უფროსი სიღრმისეულია და რაფაინირებული ქართულითაა მოტანილი, არამედ გამოცემის სახეობა ძირითადი ტექსტისა და ამონარიდებისათვის განაწესდა უფროდ შერჩეული შრიფტითა და ნატო ყუბანიევიშვილის მიერ გარეკანის

ფრიად თავისებური გაფორმებითაც.


განსაკუთრებით აღსანიშნავია საკმაოდ ვრცელი ლექსიკონი, რომელიც მეორე ტომს ერთვის. მასში განმარტებულია ის სიტყვები, რომლებიც არა მარტო მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, არამედ, მთელი გულახდილობით თუ ვიტყვით, მათი არა ერთი პედაგოგისთვისაც ნაკლებად, ან სულაც უცნობია, ამაზე ყურადღების გამახვილება კი თუნდაც იმიტომ არის აუცილებელი, რომ, როგორც ავტორი სრულიად სამართლიანად გვაფრთხილებს: „ჩვენი უპერვიდობით ირდევდა ქართული ენის სტრუქტურა, მისი მოქნილი სინტაქსი, ენობრივი ქსოვილი; ღარიბდგმა უმდიდრესი ენობრივი ფონდი. ენაში უწყველად შეჭრილი უცხოური წარმოშობის სიტყვათა მძლავრი ნაკადი წალეკავს უკადის დაფუძნებულსა და

აფლაკოდ დარჩენილთა შემდეგდროინდელ ფენიქსისებრ აღდგენაზე.“

იმათთვის, ვისთვისაც ძირითადად არის განკუთვნილი ეს ორტომეული, ჭეშმარიტად ღირებულია ნაწარმოებთა ჩამონათვალი, თითოეული მწერლისადმი მიძღვნილ ნარკვევს რომ ახლავს და მიმწერა, რომელიც თვალნათლივ წარმოაჩენს თითოეული მათგანის შეხედულებებსა და ცხოვრებისეულ ყოველდღიურობას.

საკმაოდ ხანგრძლივმა პედაგოგურმა პრაქტიკამ, შემდგომ კი ქურნალისტისა და გამომცემლის დიდმა ცხოვრებისეულმა გზამ ბატონ გივის საშუალება მისცა პირადი, მათ შორის მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა ორტომეულში შესულ მის თანამედროვე მწერლებთან და მათ გარემოცვისათვის. მან კი კიდევ უფრო წინადა და დამაჯერებელი გახადა მსჯელობა და პედაგოგების მისამართით გამოთქმული ის მეგობრული შეგონებანი, თუ რა დეტალებზე უნდა გაამახვილონ მოსწავლეთა ყურადღება.

აი, თუნდაც ერთი ამგვარი მაგალითი: 1941 წელს მცხეთაში გახსნეს პიტიახის საფლავი და ძალზე სულისშემძვრელი რამ ნახეს:



ბროწეულის ფესვს ჩაუღვრავი მიცვალებულთან და მის უპირფასეს სამაჯურში გაუვლია... ამ ამბავმა დაბადა სიმონ ჩიქოვანის ლექსი „ბროწეული პიტიახის საფლავზე“ და პოეტის ნატურა: „მომწეული ბროწეული, გადმოფრინდი, შენი რტო და შენი ჩრდილი დამაფარე.“

ეს სურვილი პოეტს მართლაც აუხდა. ის საფლავურში გაუვლია... ამ ამბავმა დაბადა სიმონ ჩიქოვანის ლექსი „ბროწეული პიტიახის საფლავზე“ და პოეტის ნატურა: „მომწეული ბროწეული, გადმოფრინდი, შენი რტო და შენი ჩრდილი დამაფარე.“

„ბროწეულის ფესვებქვეშ პოეტის მეუღლის – ქალბატონ მარიკას ფერფლით პატარა ურნაა ჩადგმული“. ორტომეულის ავტორს მეგობრის, მამია ჩორგოლაშვილის მონათხრობიდან მოჰყავს ეს ამონარიდი და განავრძობს: „მე სხვა ვარიანტიც გამოვიტყვევებ: ქალბატონ მარიკას – ელიავა-ჩიქოვანს ანდერძად დაუბარებია: მე რომ მოკვდები, დამწვით და ფერფლი სიმონის საფლავზე მოაწვითო. ასეც მოქცეულან.“

არ არის ეს შემთხვევითი დეტალი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი პედაგოგისა და ქურ-



რადგან ზემოთ გამოცემლობა ვახსენე, თავს ვაძღვებულად ვთვლი, რომ ამ მამულიშვილური პროექტის განხორციელების გამო არა მარტო პირადად ჩემი, ჩემი მოსწავლე შვილიშვილების სახელითაც გადავუხადე მადლობა ჩემს კოლეგებს – უშუალოდ პროექტის ავტორს, ავრეთვე „შემეცნების“ მთელ შემოქმედებით ჯგუფს ამ საქმის კეთილად დაგვირგვინებისათვის და განსახვად წინადადებაც შეგთავაზო: მეგობრებს ჩემს ანალოგიური გამოცემა მიუძღვან დაწყებითი კლასებისა და სკოლამდელი აღსაზრდელთათვის განკუთვნილ უმდიდრეს საბავშვო ლიტერატურას?!

კლემანდრე შენგელია, საქართველოს დამსახურებული ქურნალისტი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე, სახელმწიფო პრემიის დაჯიურებული, ღირსების ორდენოსანი, აკადემია „აია“-ს წევრი

კონსტანტინე კაკანელი (ჭანბურაია)



რენესანსი ლიტერატურაში

ასე ფართოდ დასაშვლი სოციალურ-პოლიტიკური საკითხები, წარმოშობილი იტალიის ადრინდელი რენესანსის ეპოქაში, მთელ დასავლეთ ევროპულ ლიტერატურაში გაავრცელდა. თვით შექსპირის შემოქმედებაში; შექსპირი კი, უდავოდ, უძლიერესი წარმომადგენელია დასავლეთ ევროპის რენესანსისა ლიტერატურაში.

შექსპირის მორალის სისტემა ერთგვარი პროგრამაა იმ ბრძოლისა, რომელსაც ისახავდა ევროპის რენესანსი, დაწვეული იტალიის აღორძინებით საფრანგეთის რეპუტაციის აღორძინებით. მაგრამ ის ფსიქიკურ-მორალური ტანჯვა, რომელსაც განიცდიდა შექსპირის პამლეტი კათოლიკურ გარემოცვაში, უფრო თამამად, გაბედულად და პუმანურად გადაწყვიტა რუსთაველმა ავტანდილის პრინციპებით და ცხოვრების ფილოსოფიით, რაც მოცემულია მწვეფ როსტკვიანისადმი ანდერძში. პამლეტის სული და ნებისყოფა დაცრეცილია კათოლიკური ეკლესიის ტრადიციით, საიქიოსათვის წუხილი. ავტანდილი უფრო მთლიანი პიროვნებით ეკვეთა იმ პაღებს, რომლებიც ჩაგრდნენ ადამიანს ამქვეყნად.

პამლეტი მწვევედ განიცდის კათოლიკური ეკლესიის ტრადიციებსა და სქოლასტიკის კატეგორიების ბატონობას. იგი იბრძვის პუმანური იდეალებისათვის, მაგრამ მას გასაქანს არ აძლევს ეკლესიებისა და მონასტრების გარემოცვა; პამლეტს აწუხებს ტრანსცენდენტური სამყარო, საიქიო, მაგრამ იგი იმაზე არ ფიქრობს არის თუ არა საიქიო არსებობა, არამედ იმის ზრუნვაშია, რომ ამქვეყნად რაც შეიძლება მეტი სიკეთე გააკეთოს, მეტი სარგებლობა მოუტანოს იმათ, ვისაც უჭირს. საიქიოს არსებობა არ ხელავს ავტანდილს; ადამიანი ბოლოს და ბოლოს მიწა და ხავია: **“ბოლოს შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მსცოვანი”** (798-ე სტროფი); ადამიანის სიცოცხლე მიწით თავდება, ამიტომ გაკეთებული საქმე,

გაკეთებული ნივთი რჩება სოციალურად, მოღვაწეში, თაობებში, კაცობრიობის ისტორიაში. ავტანდილი დაინტერესებულია ამქვეყნიური ვითარებით; ფიზიკური სახით მარადიული არსებობა ავტანდილისათვის წარმოუდგენელია; მარადიული არსებობა ხნობრივ კატეგორიად მიანია ავტანდილს: **“მეღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ მოვეგონები”** (801-ე სტროფი), მოგონებასა და დალოცვას ესაჭიროება კეთილი საქმე, დამსახურება საზოგადოების წინაშე, სიკეთე საერთოდ.

ავტანდილი და პამლეტი – ორივე სიკეთისათვის იბრძვის, ორივე რენესანსის იდეების მატარებელია; მაგრამ ავტანდილი უადრესად რეალისტია, პამლეტი კი თუ ერთი ფეხით ამ ქვეყანას ებჯინება, მეორე საიქიოში აქვს გადადგმული. გარკვეული პამლეტი იტანჯება, ფიქრობს, რომ ეს ქვეყანა ცუდად არის მოწყობილი. ავტანდილმა იცის არსებობის სინხლეები, იცის, რომ სიკვდილი გარდაუვალია, მაგრამ ისიც იცის, რომ **“არას გარგებს სიმძიმით, უსარგებლო ცრემლთა დენა”**; გამოსავალი ესთეტიკურ მიღწევაში – სილამაზისა და სიყვარულისადმი ღრუბლებში; მართალია, ქვეყნად ყველაფერი წარმატებულია **“ვითა სიზმარი ღამისა”**, მაგრამ კეთილი საქმე რჩება, მხოლოდ სიკეთე მარადიული ადამიანთა ცხოვრებაში. პამლეტი და ავტანდილი, პრომეთეს შემდეგ, ორი დიდი მორალური ფიგურაა მსოფლიო ლიტერატურაში. ავტანდილი უფრო მოხერხებულია, ვიდრე პამლეტი; პამლეტის სული დაფლეთილია ეკლესიით; პამლეტის ნება შერყეულია სკეპტიციზმით. ავტანდილის ძლიერი ნებისყოფა ენდობა გონებას: **“რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებათა გონიერსა”**. რუსთაველის გმირის ფილოსოფიური იდეალები, ის იდეალებია, რომელთაც ოთხასი წლის შემდეგ ქადაგებენ დასავლეთ ევროპის პოეტები და მეცნიერები. დანტე და პეტრარკა, ბრუნო და ბოკაჩო რუსთაველისა და მისი ავტანდილის სულიერი ნათესავები არიან. უდავოა, რომ კოლოსალური სახეები და ტიპები შექმნა შექსპირის გენიამ, უდავოა, რომ ადამიანის შენაგანი ბუნება, ქვეყნად მისი სოციალურ-ისტორიული ტანჯვა და განცდები, ადამიანის საზოგადოებრივი და კოსმიური ყოფა შექსპირს მოცემული აქვს ძლიერი მხატვრული სახეებით. რა თქმა უნდა, შექსპირი რუსთაველს არ იცნობდა, მაგრამ საინტერესოა, რომ ადამიანის ბუნების მისი ემანსიპაციის გაგებასა და საჭირო საშუალებების მონახვაში რუსთაველი ენათესავება დასავლეთ ევროპის დიდ მწერლებსა და ფილოსოფოსებს: ამასთან რუსთაველი ზუსტად აღნიშნავს ავტანდილის სახით გონებასა და ადამიანურობას, იმას, რასაც იყენებდნენ თავიანთი პუმანური იდეალებისათვის რენესანსის ევროპელი მოღვაწენი. კათოლიკური რე-

ლიგია და ასევე ღია დიდხანს იბრძოდა გონების წინააღმდეგ ევროპაში: ამით აიხსნება პამლეტის სულიერი დრამა, ეჭვები და ნების მისუსტება; ამით აიხსნება დანტეს პოზიცია კათოლიკური ეკლესიისადმი, გამოთქმული **“დვთაბრივ კომედიაში”** ფრანსესკასა და ლანკოტო დარმიინის სიყვარულის ისტორიით.

სულ სხვა მდგომარეობაა გერმანიაში: რენესანსი პირველ ხანებში აქ რეფორმაციის სახით ვლინდება, ძლიერ მოგვიანებით კი გოეთესა და შილერის ნაწერებში პპოვეებს გამოხატულებას. ანტიკური კულტურა, მისი მითები, სახეები და ღმერთები, პუმანიზმის იდეებთან ერთად, მხატვრული განსახიერების საგნებად გადაიქცნენ ვინკელმანისა და ლესინგის ნაწერებში და კიდევ უფრო გვიან გოეთესა და შილერის პოეზიაში. **“Sturm und Drang”** საზრდობს ანტიკური იდეებით. მითური პერსონაჟები შილერის ლირიკაში, მშვენიერი ელენე გოეთეს **“ფაუსტში”**, გოეთეს **“რომანული ელგიები”**, **“პრომეთე”** და სხვა გერმანული ლიტერატურის თავისუფალი ამოსუნთქვაა ტირანიისა და ფილისტერობის გარემოცვაში.

ცნება **“რენესანსი”** (ფრანგ. Renaissance) ხელახლა დაბადებას ნიშნავს. მის შესატყვისად ხმარობენ სიტყვას – აღორძინება, მაგრამ სიტყვა **“აღორძინება”** და მასში მოცემული ცნება არ გამოსახვენ ხელახლა დაბადებას. ცხადია, რენესანსის გაგება საჭიროებს დაზუსტებას ისტორიული საფუძვლების და ცნების ბუნების შინაგანი თვისებების მიხედვით. ჩვეულებრივი აზრი რენესანსისა მდგომარეობს ანტიკური კულტურისა და ხელოვნების მიბაძვაში. მაგრამ ანტიკურობისადმი მიბაძვა მხოლოდ შუა საუკუნეებში ჩნდება დასავლეთ ევროპაში. ათას სამასი წლის მანძილზე რატომ არავის მოაგონდა ანტიკური ხელოვნების იმიტაცია? რა მიზეზი იყო, რომ საუკუნეების განმავლობაში ხალხები მიმდიდოდნენ, ფეხს აბიჯებდნენ ანტიკურობის ნანგრევებს, ათვალეობდნენ ანტიკურ ძეგლებს, ფრესკებს და არავინ ყურადღებას არ აქცევდა? არისტოტელეს და პლატონის არაბთა გავლენით კითხულობდნენ, მაგრამ ანტიკურ კულტურას ყურადღებას არ აქცევდნენ, ხელოვნებას არ სწავლობდნენ, ძეგლებს არ აკვირდებოდნენ; კაცმა არ იცოდა არამც თუ კრემიკების პერიოდი, ტროადის, ტირინთის ნაშთები, არამედ პართენონისა და როდოსის მშვენიერებანი.

XIII-XV საუკუნეებში იბადება ანტიკურისაკენ მიბრუნების, ანტიკური ძეგლების შესწავლის, ანტიკური ხელოვნების იმიტაციის სურვილი. იგი დაკავშირებულია ევროპის ქალაქების ზრდა-განვითარებასთან, ხელოსნობის კულტურასთან. ევროპის დიდ ქალაქებში XIII საუკუნიდან ძლიერდება ყოფა-ცხოვრების კეთილმოწყობის, ჩაც-

მა-დახურვის ღამაში ფორმების ძიების ინტერესი. ტანსაცმელი, ოჯახის მორთულობა მალალი გემოვნებით გამოირჩევა. დიდ ქალაქებს გემებით შემოაქვთ აღმოსავლური ქვეყნებიდან ქსოვილები, ძვირფასი ქვები, სამკაულები და სხვა. ეს მალად წრეებში ბადებს სურვილს საუკეთესო სტილის ძიების ისტორიაში, წარსულში; მოწინავე წრეებში ვითარდება მისწრაფება ზოგადად ადამიანისადმი, მისი ტანისადმი, სხეულისადმი ყურადღება. ფიზიკური სამყარო, მისი ფერები, სინათლე, სივრცე ადამიანებში იწვევენ ღტოლვას სილადისა და სილამაზისაკენ. იწყება სასიამოვნო ტონებისა და სახეების მოღვივება. ლეონარდო და-ვინჩი და რაფაელი ქმნიან თავიანთ მადონებს; ბიბლიური რელიგიური საწყისები სულის წარმართულ ღტოლვაში იფანტება; სამყაროს სილიადე ჩრდილავს ეკლესიურ დოგმებს; დედამიწის სურნელება ათრობს ქალაქებსა და სახელმწიფოებში დადლილ ადამიანებს.

ვრიდრის ენგელსის თქმით, **“მთელი ახალი ისტორია იმ მძლავრი ეპოქიდან თარიღდება, რომელსაც ჩვენ, გერმანელები, იმ დროს ჩვენს თავს დამტყდარი უბედურების გამო, რეფორმაციას ვუწოდებთ, ფრანგები – რენესანსს, ხოლო იტალიელები ჩინკვეტოს უწოდებენ და რომელსაც ვერც ერთი ეს სახელწოდება ამომწურავად ვერ გამოხატავს. ეს ის ეპოქაა, რომელიც XV საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. მეფის ხელისუფლებამ, ქალაქის მაცხოვრებლებზე დაყრდნობით, ფეოდალური თავადაზნაურების ძლიერება გატეხა და დიდი, არსებითად, ეროვნებაზე დაფუძნებული მონარქიები დაამკვიდრა, რომელთაც ევროპის თანამედროვე ევრობა და თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოება განვითარდა; და მაშინ, როცა ქალაქელნი და თავადაზნაურნი ჯერ კიდევ ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, გერმანიის გლეხთა ომმა წინასწარმეტყველურად მიუთითა მომავალ კლასობრივ ბრძოლებზე. ვინაიდან ამ ომმა სცენაზე გამოიყვანა არა მარტო აჯანყებული გლეხები, – ეს უკვე ახალი აშბაგი აღარ იყო, – არამედ მათ უკან გამორჩნდნენ თანამედროვე პროლეტარიატის წინამორბედნი... ეკლესიის სულიერი დიქტატურა დაიმსხვრა; გერმანულ ხალხთა უმრავლესობამ პირდაპირ უკუაგდო იგი და პროტესტანტიზმი მიიღო, მაშინ როდესაც რომანულ ხალხებში უფრო და უფრო ფეხს იდგამდა არაბებისაგან გადმოღებული და ახლად აღმოჩენილი ბერძნული ფილოსოფიის მიერ ნასაზრდოები ნათელი, თავისუფალი აზროვნება, რომელიც XVIII საუკუნის მატერიალიზმს ამზადებდა”**.

კონსტანტინე კაკანელი (გაგრძელება იქნება)

ლოკომოტივი ჩიხსნა და შეეაღწეა უკან დაბრუნდა

(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)

“ოცნებამ” დაგეგმილი ცვლილებები ვერ განახორციელა, მათთვის ეს რთული აღმოჩნდა. ივანიშვილს გარემოცვა არ უყარგოდა. ის დააჯერეს, რომ გაზის ფასს შეამცირებდა, ნათობის, ელექტროენერჯის, არადა, ყველამ ხომ ვიცით, რომ საქართველოს არც ერთი არ აქვს, ვერ მოიპოვებს და არც გაიაფდებოდა. ექსპორტირებული ენერგომატარებლების ფასის შემცირება ადვილი არ არის.

– მთავრობა ინვესტიციების მოზიდვასაც გეპირდებოდა. რამდენიმე წლის წინათ მთავრობის მისამართით განაცხადეთ, ინვესტიციების შემოსვლას მაშინ ვიგრძნობ, როდესაც ჩემი მაცივარი გაიფუტავს. გაიფუტო თქვენი მაცივარი?

– არა, მაცივარი არ გაგსუბუღა. ინვესტიციების შემოსვლა ქვეყანაში დემოკრატიის დონეზე არ არის დამოკიდებული, რასაც ჩვენ გვეუბნებიან, რადგან ჩინეთისა და თუნდაც სინგაპურის მაგალითზე ეს უკვე დამტკიცდა. იქ დემოკრატია არასოდეს ყოფილა, მაგრამ ინვესტიციების მოზიდვით პირველ ადგილზეა. ინვესტორს ეს არ აინტერესებს, მთავარია, მოგება იყოს. როგორც ჩანს, ინვესტორები საქართველოში მოგებას პერსპექტივას ვერ ხედავენ, ვერც შიგა პოლიტიკურ სტაბილურობას, რაც ასევე მნიშვნელოვანია.

გადახედეთ ქართველი პოლიტიკოსების წარსულს. ყველა მათგანის საჯარო განცხ-

ადება ისე მოქმედებდა პოტენციურ ინვესტორზე, როგორც ხარზე წითელი ნაჭრის აფრიალება.

– თუ ყველაფერი ასე იყო და პირველი ცვლილებები მოსალოდნელი არ ყოფილა, მაშინ, ივანიშვილი გვატყუებდა? სოციალური მდგომარეობა ხომ უფრო გაუარესდა?

– ეკონომიკის სფეროში ყველაზე დიდი დეფიციტია სპეციალისტების მხრივ. ბევრი ცოლვა ადევთ ვითომ ეკონომიკის ექსპერტებს – უმუშევრები, როგორც თავლს ბუზი, ისე მიეხივნენ ივანიშვილს, რამაც ამ მდგომარეობამდე მიგვიყვანა.

ივანიშვილი მოვიდა, გაიმარჯვა, წავიდა... წასვლა ხელისუფლებიდან ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, არ შეიძლება, ეს არ შეიძლება უფრო ძლიერ ქვეყნებშიც.

ივანიშვილი შეცდა პრეზიდენტშიც, მინისტრებშიც, დედაქალაქის მერშიც და დაპირებებშიც.

– ჩინეთის მილიარდნახევრიანი ბაზრის ათვისებას გეპირდება პრემიერი...

– ჩინეთის ბაზარი რომ ათვისოს, ბაზარი უნდა იცოდეს რამდენი ეკონომისტი გვაყავს საქართველოში, რომლებმაც ჩინური ბაზარი იცანა?

რუსეთის ბაზარი მიმზიდველი იყო და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ამ ბაზარს ვიცნობდით. ვიცოდით, რაზე იყო მოთხოვნა და რომელ რეგიონს რა სჭირდებოდა.

მომზადა მკა ნასშიაზშილი

შსს-მ კომპიუტერული მონაცემის უნებართვო შეცვლისა და თაღლითობის ფაქტზე 43 პირი პასუხისმგებლობაში მისცა



ინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერ-დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს და მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა კომპიუტერული მონაცემის უნებართვო შეცვლისა და თაღლითობის ფაქტზე 43 პირი ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისცეს.

ბრალდებულებმა ფასდაკლებების ერთ-ერთი ვებ-საიტის ელექტრონული საგადახდო დავალების ვებ-გვერდში ხელმოწერილი ჩარევის გზით, თანხის ველში უკანონოდ შეიტანეს ცვლილება და პროდუქციის რეალური ღირებულების ნაცვლად 0,01 თეთრი მიუთითეს, კომპიუტერული მონაცემების შეცვლის შედეგად, მიხერულ ფასად შექმნილ მომსახურეობას და პროდუქციას კი მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლდნენ. ბრალდებულების მიერ ჩადენილი ქმედების შედეგად, ფასდაკლებების კომპანიაში დიდი ოდენობით – 95.047 ლარის მატერიალური ზიანი მიიღო. ყველა ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

თხა, თემი და ბორის სამართალი

საკვირაოლ წასაკითხი მოთხრობა

– ერთი აქეთ მომიხედე და კარგად მომიხინე, შე არაკაცო! – მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით გაისმა მამაკაცის ხმა, რომელიც ერთ-ერთ ჩვენს კოლეგას მიმართავდა.

– ჰე,ჰე! რა დღეში ხარ? – წინ გადაუდგა და ჯანოსკენ არ გაატარა ბადრი.

– გამოიშვი, ძმაო! ერთი კვირა და ვეძებ და მეძებე, ეგ მამაადალი!

– რა გინდა, ბოლობოლო? აგერ ვარ და მითხარი, რას დამეძებ? – გაეჯვინა ჯანო. – შე, ძმაო, ვმუშაობ, ხან სად ვარ გამოძახებაზე და ხან სად. შენ ხომ არ დაგიღებია აქ?

– რა მინდა და შენი გამონაცვალნი ჩოხა!.. რა უნდა მინდოდეს? არ იცი რა მინდა?

– კაცი გეკითხება, რა გინდა ჩემგან – კვლავ ჩაერია ბადრი. – რა გინდა, ჩვენც გაგვაგებინე... თქვენი სახელი?

– თემური.

– ჰოდა, თემური ბატონო, ჩვენ, მისი ძმაცალები, ვალდებულნი ვართ ვიცოდეთ, რას ემართლები?

– რას ვემართლები და... თხა რომ მოიპარა ჩემ სულელ შევითან ერთად, გემრიელადაც რომ მიირთვა... პატრონი გამოწარებული მკითხავს ყოველდღე, ან ორასი ლარი გადამიხადეთ (მასე მიღირასი) ან გინივლებო... ჩემს შვილს არ ვდარდობ, მაგი სულელია და რომც დაიჭირონ ღირსია კიდევ, მაგრამ მას თუ დაიჭერენ, ამასაც მიაყოლებენ.

– რა თხა მოვიპარეთ?... ჯერ ერთი, ქაცარი იყო ის!.. და, მეორეც, მე რა მოვიპარე?... შენმა შვილმა ტაქსი გამოიძახა და გამოძახებაზე მე მომიწია წასვლა. მას არ უთქვამს, რომ სხვისას იპარავდა... ჩემი ქაცარი, მამიდას უნდა წაუყუყურო... მეგრე დამპატივა სადამოსკენ და ჰამასხაზე უარი რაფერ მეთქვა?

– ჰოდა, რომ ჰამე და სვი, ძმაო, უნდა გადაიხადო!.. – ნიშნისმოგებით უთხრა თემურმა. – თქვენ იქიფოთ და ფული მე ვიხადო? ვინც და რამდენიც იყავით გადაინაწილეთ, მოაგროვეთ ორასი ლარი... ჩემი დედილო შევიღისა კი თავად გადავიხდო, მაგრამ მთლიანად რად გხდო?

– ჯანო, მართალია ეს კაცი! – დაასკვნა ბადრი.

– პატრონს არ გაეგო, შერჩებოდათ, – თქვა თემურმა. – მაგრამ რადგანაც გასკდა საქმე, უნდა მოუაროთ.

– კი მაგრამ, საიდან გასკდა? ჩვენ იქ არავის ვუნახავთ. – გაიკვირა ჯანომ.

– ქაცარი იყო, ჯონი რომ ამბობს, თხის კი არა და ონის საფასურს რად გახდებინებენ? – გაიკვირა რეზიმაც. – კამეჩი იყო, რომ გათხრას, რას უხამ? – კითხვას კითხვა შეაგება თემურმა.

– სანამ გაკამეჩებულა მანამ მოაგვარეთ ეგ საქმე, თორემ თუ გინივლათ, კამეჩის საფასურის გადახდა მოვაწვეთ სწორედ. – კახამ. – თხისა და ქაცრის მოპარვა ცხენის ქურდობასავით ვაგაცოდო არაა, მაგრამ არც ცოდვასში ითვლება... თუმცა თუ დაიწვი, უნდა გადაიხადო, ასეთია წესი!

– თხის მერი რა მოგვიპარავს, თუ ძმა ხარ... – ჩაერთო კაკო. – ადრე კოლმეურნეობის „გაზიკზე“ რომ ვმუშაობდი, თუ სადმე თხა შემხვებოდა, რაღა გაუწევა?

– მაშინ, ბრატ, თხა „რადი კაიფა“ ჰყავდათ და დაქუ არც ითვლიდნენ. მოუნდებოდათ, დაკლავდნენ. „ასნაენი“ შემოსავალი ეგ არ იყო მაგათი. – „გააიასნა“ სიტუაცია რომამ.

– მართალია. აბა, ახლა ყოველ დილა-სადამოს ითვლიან და ადვილად ამჩნევენ დანაკარგს.

– არადა, გემრიელი ხორცი კი აქვს მაგ დალოცვილს... რომ შეგუფეთება მოფარებულში სული წაგდებეს, აბა, რა იქნება, – თქვა ბუქანამ.

– რამდენმა იქიფეთ იმ თხაზე თუ ქაცარზე? – შეეკითხა ბადრი.

– ხუთნი ვიყავით.

– ჰოდა, მიეცი, ძმა, ამ კაცს ორმოცი ლარი და დანარჩენი თავად მორაგებო.

– ჯანომ საფულედან ორი ოციანი ამოაძრო და თემურს გაუწოდა და სინანულით ჩაიბურღუნა, – რომ მცოდნოდა ამდენი დამიჯდებოდა, რა მაჭმევდა იმ საბეჭე ქაცარს!

თემურმა დატყუებული ოცლობანი უკვირების გამო ბირჯაზე დაერწით და კვლავ თხის თემა გაგრძელდა. ჩემდა გასაკვირად, აღმოჩნდა, რომ ჩემს გარდა, თხა ყველას მოეპარა და საითთაოდ მოყენეს თხის, ონისა თუ ქაცრის მოპარვის ამბებს.

ხუგდის ბაზარი ცნობილია მთელს ქვეყანაში. ბაზარიც და ბაზრობაც ერთად იყო ჩემს ბავშვობაში, კარგად მახსოვს. რას არ იშოვიდი მანდ. ახლაც თვალწინ მიდგას, ბაზრის თავისუფალ ალაგას წარწერები იდგა: „უსაქმოდ ნუ განირბობით!“ სწორედ იქ იდგნენ მაშინდელი სპექულიანტები, ახლა რომ ბიზნესმენებს ეძახიან. რას ინატრებდი ისეთს, იქ რომ არ გეშოვნა.

იმ ბაზართან, იცოცხლე, კარგია დგომა, კლიენტი მუდმივად გეყოლებოდა, მაგრამ პატრონი არ გაგაჩერებს, აკრძალულია. ჩვენი ბირჯა ცოტა ხემათაა, გადაკვეთ ქუნაზე. ვიზიარ ჩემს მანქანაში და ველოდები გამოძახებას ან იქნებ გზააბნეული დაგვიანებულნი მგზავრი გამოჩნდეს. ამ ლოდინში ხან რადიოს ჩაერთავ, ხან წიგნს ან გაზეთს ვკითხულობ... ამ დროს მანქანას ჭარბავი, ახოვანი, ასე სამოცდაათ წელს მიტანებული მამაკაცი მოადგა.

– ბაბა-სქუა, აბასთუმანში რამდენად წამიყვანა? – მომმართა მისულმა თავაზიანად. – ოცდაათად დადიან მაქვთ, გზა რომ არ ვარგა მიტომ. – მოუხივებო მამიდას თხის და დასაკლებადაც მოვეძუადე. ეს მეთოდი აქ მასწავლეს.

– იყო, ბაბაია, ოცდაათი, მაგვიანდება უკვე და წავიდე დროზე. – დამთანხმდა ლეთისნერი. – დაბრძანდი, – ვუთხარი და მანქანა დავიძარი.

– მე ბონია ვარ, ბაბაია, ონიგავა. – გამეცნო მეზავრი და უგზობის გამო საყვედური იმთავითვე დაიწყო. – შორი კი არაა, მაგრამ უგზობამ დაგვანჯავა.

აბასთუმნის ცენტრამდე ტანჯვით მივაღწიე. იქიდან კი უფრო შვებით შეგუდექი ურთის მთისკენ ამავედ, ოდესღაც მოხრეშიდ თუ მოკირქეულ და მშვენივრად შენახულ გზას.

მალე პირდაპირ მივადექი ლურჯად შედებილ რეინის ჭიშკარს, რომლის იქითაც კოსტად მოვლიდი ეზო მონანდა, ეზოს სიღრმეში ორსართულიანი, კოპწია სახლი იდგა. სახლის გვერდით, ასევე, მოკობტავებული ორთვლიანი ხის სამზადი მიტმას-ნულიყო, თითქოს, ერთმანეთისთვის იყვნენ აშენებული.

ბატონმა ბონიამ თანხა გადამიხდა და დამემშვიდობა. მანქანა ჭიშკართან არ მოვებრუნე, გზა განვგრძე. ფიქრებში გართული, მოსახვევში, თხის არეში აღმოვჩნდი. მანქანიდან გადმოვდი, ვიფიქრე რკებით არ გამოკაწრონ მანქანა-თქო. წინ დაუდგევოდა თხებზე ხან მრჯენი, ხან მარცხნივ ვაძვევებ. ამასობაში უკანა მხრიდან ჯახანი მომესმა, მოვიხედე და, რას ვხედავ! ჩემი მანქანის საბარგულია ახდელი. გაბრაზებული მივევადი, ალბათ თხა რკით საკეტურს დაეჯახა და ახლა საბარგულს ჩაშტერებია. ბუერი არ მიფიქრია, ვტაცე ხელი და საბარგულში ჩავკეცხე.

ფოქორი გვერდით მოვიტოვე და შამადელას სასაფლაოსთან გამოვედი. აქედან ჩემ სახლამდე იმდენივე მანძილია, რამდენიც ხეცერაში ჩემ ბიძაშვილ კახას სახლამდე. გადავწვიტე ჯერ მასთან მივიღე. ის რამეს მოიფიქრებს. მართლაც, მან მოიფიქრა და... მეორე სადამოს მისი სახლიდან ტაქსისტების პარი-ჰარალე იხმობდა.

ამ სადამოს მთავარი გემრი მე ვიყავი. ყველა მაქვება და მაიღებდა.

– შენ გაგიმარჯოს, ძმაო, რაც შენ გააკეთე ეგა ამბობა და თანადგომაა. თითოეულ ჩვენთაგანს თითო თხა მანც გვეყოლება მოპარული და შეგეძლო

ჩვენთვის ხეშოდან გეშობია, როგორც თხა-პარებისთვის, მაგრამ ამის ნაცვლად ჩვენს ამქარს შემოუერთდი. – მეუბნება ბადრი.

თავის დროზე ზევსმაც კი მოიპარა თხა, შე კაცო – ჩაგვერთო ბერდო. – სულაც ამაღლეთა რდით გაიზარდა, როცა კრეტაზე მალავდა დედამისი კრონოსის-გან.

– ეს ნახე, რა განსწავლულია?! – გაიცოცა ჯანომ.

ისე თხა დიდი ეშმაკივული ცხოველია. – რუსული აქცენტით ამბობს რომა. – მთელი კაცობრიობის ცოდვები მას აკვიდეს და გაუშვებს. „კოხიოლ ოტპუშენი“ ქართულად როგორაა?

– განტეკების ვაცი. – ვასუსობ მე.

– ხო და მაგ ეშმაკივულმა თხამ შენც კი გაცდუნა, ჩემო მერაბ. – ახარხარდა რომა და მთელი სუფრა აიყოლია. – მაგრამ ეს ცოდვა შეგიძლია მასვე აკვილო.

იმ დღიდან ტაქსისტების ბირჯაზე სრულუფლებიანი, საპატივცემლო ტაქსისტი გავხდი. ცერად არავინ მიყურებდა... გამოძახებებზე და შემოსავლებზეც იმატა.

ერთხელაც მანქანა ბირჯაზე მიყენია, სალონში ვიზიარ და წიგნს ვკითხულობ.

– გამარჯობა! – მომესალმა კოსტად ჩაცმული მოხუცი, – აბასთუმანში წამიყვანო?

– კი ბატონო, რამდენს გადამიხდით?

– ცოცად წასვალ?

– წავიდე.

მოსუცი მანქანაში ჩაჯდა. თითქოს ნაცნობი სახე აქვს. თხუთმეტი წუთში აბასთუმნის ცენტრში ვიყავით. გზაში აქამდე გზის აგ-კარგიანობაზე ვისაუბრეთ მხოლოდ.

– აქ მარჯვნივ აუხვიე, ბაბაია... ბონია ვარ მე, ონიგავა...

– სასიამოვნოა... – ვთქვი და ტანში გამცრა-გამაუქრული.

ერთი სურვილი მაქვს და სული მიწა-წაქვს, როდის მივალწვე ბონიას ჭიშკრამდე, რომ ჩავსვა ეს კაცი.

როგორც იქნა გამოჩნდა ბონიას ჭიშკარი. სიხარულისგან ლამის ცქიშტვა დავიწყე.

– ახლა, ბაბაია, უნდა გადადგვიდე და სახლში დამეწვიო. სურვილი მაქვს შენთან ერთად ვიქიფო. – ისეთი ტონით მომმართა, უარის თქმა არ ეგებოდა. თანაც დავასკენი: რადგანაც სუფრაზე შეპატიეება, მაშასადამე თხის ამბავი არ იცის. ან, რომც იცოდეს, მე რა ვიცი ვისი თხა იყო. ახლაც არ ვიცი, რა თხა, რის თხა...

ერთი უარი კი ვკადრე ზრდილობისთვის: – სამსახურში ვარ, ბატონო ბონია, დალევ ავრ შეიძლება.

– არა უშავს, ქვეყანა არ დაიქცევა. – დამრიგებლურ ტონზე გადავიდა. – თუ დავინო მოგეწონის, ამაღამ აქ დარჩი, თუ არა და თითო ბოთლის მეგრე წაიდ სახლში, როგორც ვიცი, აქეთ ცხოვრობ შამადელისკენ და მანდ წასვლას ნასვამობა არ დაგიშლის.

მივხვდი, რომ თავპატიეს აზრი არ ჰქონდა და ბონია ონიგავას ეზოში შე-აბიჯე.

კი მრჩება ფეხები უკან, მაგრამ ხათრი ვერ გაუტეხე ჭარმაგ ადამიანს და ვერც რამე მოვიმიზეზე უარის სათქმელად.

– გონა! – გასძახა ბონიამ შვილს.

– ბატონო! მოსმა სახლის მიღმა ეზოდან და ხნას პატრონიც გამოვეყვ. ახოვანი, მხარბეჭიანი, მომღიმარი სახის ვაკაცი აღმოჩნდა ბონიას გონა.

– მიდი ერთი, თხა დავიკავალი და შენებურად შეწვი... სტუმარი მყავს საინო, – ეს ჩემი მიუღლეა, დავფინე; ეს რაძლია, რიტა, – გამაცნო სამზადიდან გამოსული ქალბატონები.

მშენიერი სუფრა გაიშალა. თხის შეწვას არ დაველოდეთ. შემოგვეწვრებო, – ბრძანა ბატონმა ბონიამ და თამადობას შეუდგა. გონა თან თხას წავიდა, თან სუფრასთანაც ჩვენთან ერთად ჩვიფობდა. დვინე და რიტა სამზადში ფუსფუსებდნენ და ხან ხაჭაპური შეამატეს სუფრას, ხან – ელარჯი,

ხანაც – გებუფალია და ხან კიდევ რა, ვინ მოთვლის.

ბონია დიდებულად მჭერმეტყველი თამადა გამოდგა. სულ ლექსად და თაფლად დაიღვარა. სიმთვრალისკენ შებიჯებას ვაპირებდით გონამ რომ ფეხზე მდგარი შემწვარი თხა შემოიტანა სუფრაზე.

– თხა, ჩემო მერაბ, ბაბაია, კეთილშობილი და უბრლო ცხოველია. – აიღო ჭიქა თამადამ და განაგრძო. – ბუერი თხას ეშმაკივულად მიიხევს, მაგრამ მასე არაა. თუ კაცობრიობის ცოდვები თხას აკვიდეს და განტეკების ვაციც აქციეს, ეს დიდი ლეთიური სიკეთეა. თვით იესოც ამისთვის მოველინა დედამიწაზე (დემტო, მაპატე, გემახსოვრებათ. მან ხომ კრეტაზე გადამალული ზევსი გამოკეცა? სანცვლოდ ზევსმა, მადლიერების ნიშნად, ცაში აიყვანა და ვარსკვლავად აქცია. სხვათა შორის, ამაღლეთას რქას ჰქონდა ჯადოსნური ძალი, ყველაფერი სასურველი მიეცა მისი მფლობელისთვის. ჩემი თხებიც ასევე არიან და რა უფლება მაქვს პატივი არ ვცე მას, როცა იგი ზევსისებურად გვზრდის, რქესაც გვაძლევს, რომელიც დედის რძის ტოლფასია და ხორცსაც. თან ჩვენს ცოდვებსაც ტვირთულობს და უდაბნოდ იდევნება.

ბუერი რამ ითქვა. ბუერი კარგი საღვებრძელო დაილია იმ სადამოს და საამო ღვინომ ისე დაგვათრო, წასვლაზე ფიქრის უნარიც კი დამაკარგვინა...

დილით ადრე ავდექი. ბატონ ბონიას სუფრა განეახლებინა და დანახვაზე შემიძახა:

– აი, მესმის! დალევაც შეგეძლება და შენთან ქვიფიც შეერგება ადამიანს.

– რა ვი, ცოტა ადრე კი მომტყდა კისერი.

– არა, არა... ძალიან კარგად გამოგვივიდა... მთლი, ახლა, დილის მუხუსი მოვისტუმროთ! – სუფრას მიუჯდა და ღვინო ჩამოასხა.

მეც მივუჯექი, წავიხემსეთ და სამ-სამი ჭიქა ღვინო დაველიეთ.

– რამაც დაგჭრა, იმან უნდა მოგარჩინოსო, ნათქვამია. – ჩაილაპარაკა.

მოგუბოდიშე: – სამსახურში რომ არ ვავიდე არ შეიძლება, თორემ დიდი სიამოვნებით გავაგრძელებდი თქვენთან პურობას. – ვთქვი დანახვით.

– არა უშავს, ბაბაია... როცა მოიცალო და როცა მოსურვო, ეს კარი შენთვის მუდამ ღია იქნება. – მითხრა და ჭიშკრისკენ გამომაძლია.

– დიდი მადლობა, ბონია ბატონო! – დავემშვიდობე მანქანის კარი გამოვადე და ჩაჯდომ დავაპირე.

– არაფრის, ბაბაია... ისე, ერთი თხოვნა მექნება შენთან.

– ბრძანეთ, ბატონო, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი.

– თხის ჩასმას სანამ დააპირებ საბარგულში, მანამ მიიხედ-მოიხედე, ხომ არავინ გიყურებს!... – ცალი თვალი მოჭურბა და ისე მესროლა მხეზარ.

ენა ამუცვლაში ჩამივარდა. გულ-მუცელი ერთიან ვექვევა... ახლა რომ აქვე მიწა გასკდებოდეს და შოგ ჩამიტანდეს, თუნდაც მანქანიანდ, ჩემზე ბუნდოური არავინ იქნება... რა ვქნა?... რა ვუპასუხო?... –

ისევე თავად მონახა გამოსავალი. – არა უშავს, ბაბაია... ვის არ მოსვლია... – დამამშვიდა და მხარზე ხელი დამადო. – შენ რომ ამ საქმეზე არ დადიხარ და ეშმაკმა გაცდუნა, ვიცი მე და დემტომა შეგარგოთ... მაგრამ ხომ ხედავ, თხა არ მენანება, რამდენიც გინდა წაიყვანე, ოღონდ მკითხე და ჩემი თავი ეგნაკვალეთ. იცოდეთ, თხა საჩუქრად იყოს ჩემგან... – თქვა ბონიამ და სახლში შევიდა.

– ეს რა მიქნით, ბონია ბიბია! – აღმომხდასავით გამოწვრებულს.

– არაფერი, ბაბაია... ცხოვრებაში უარესიც ხდება და ის უარესი არ შეგახვედროს უფაღმა, ეგაა მთავარი!... კარგად იყავი!.. გზა მშვიდობისა!.. – მითხრა და ეზოში გაუჩინარდა.

კარგა ხანს ვიდექი გაოგნებული. ბოლოს ძალა მოვიკრიბე და მანქანა დავეტოვე. თავდაღმართში როგორ ჩავიარე და საით წავედი აღარ მახსოვს... რა ვქნა და როგორ მოვიქცე, ახლაც არ ვიცი.

სადამოს თხის რქის თანავარსკვლავედიან ამაღლეთა და ზევსი ბონიას მოჭურტული თვალით მიმხერდნენ და მამშვიდებდნენ.

სახალხო მოძრაობა “სამშობლო” ზუგდიდის ორგანიზაცია უდიდესი მწუხარებით იუწყება, რომ 55 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ბორის ბულია და თანაზვრძნობს განსვენებულის ოჯახს, ნათესაებს, მეგობარ-თანამებრძოლებს... უფალო, შენ გაანათლე ბორის ბულიას სული!



“დედას ეთაკილებოდა თავისი შვილის აღზრდა, მაშინაც კი, როცა ძუძუსი რძე ჰქონდა...” – ძველი აღზრდის დაუჯერებელი ამბები



დედას ბევრი რამ მართლაც დაუჯერებელია, მაგრამ ჩვენი სხვადასხვა კუთხის წარსულ ტრადიციებში ბევრი რამ არის დღევანდელი გადასახედიდან გასაოცარი და უჩვეულო. ეს ცნობილი ქართველი მწერლის, მთარგმნელის, ეთნოგრაფის, დოქტორის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიას ჩანაწერებიდან გახლავთ ამონარიდი...

როგორ მიზრდიდნენ ძველად – ბაბიბაბებზე სამებრელოში

დავიბადე 1868 წლის მარტის 2, სოფელ ხეთაში, მდებარეობდა ოჯახში... ბებია კი ბის მორჩილად ერთად პირში ჩხიკვის ფრთა გამოძველთ თურმე – ენას ადრე ამოიღებამსო...

ოჯახში შვილის და ისიც ვაჟის შექმნაზე ხარება დიდი ყოფილა, გაუთავებელი სროლა გამართულა კაუიანი თოფისა თუ დამბანისა. მახარობისათვის მილოცვა, ქათინაურები დედას, მამას...

მისალოცავდ შორიდან მოსულან ნათესავ-მოყვრები.

უმთავრესი მიზეზი სამებრელოში ბავშვის გაძიძვებისა გახლდათ ისა, რომ იმ დროის “კეთილშობილ” დედას ეთაკილებოდა თავისი შვილის აღზრდა, მაშინაც კი, როცა ძუძუსი რძე ჰქონდა და შეგძლო თვითონ ეწოფებინა ბავშვისათვის. შვილის აღზრდა სირცხვილად, “კეთილშობილისათვის” შეუფერებლად ითვლებოდა. საერთოდ, მაშინ ბავშვის აღზრდა შესაფერი იყო იმისთვის, ვინც სოციალურ საფეხურზე ყველაზე დაბლა იდგა. მაგალითად, თავადი თავის შვილს აღზრდიდად აძლევდა

აზნაურს, აზნაური – გლეხს. ყოფილა შემთხვევა, როცა, ამავე მოსაზრებით, გლეხს გლეხისათვის მიეცეს შვილი აღზარდილად, მაგრამ ამ შემთხვევაში ამ ორ გლეხს შორის ეკონომიური მდგომარეობით დიდი განსხვავება უნდა ყოფილიყო: გლეხის კვალბაზე ერთი ძალიან შექმნილი უნდა ყოფილიყო, თითქმის აზნაურის ტოლი და სადარი, მეორე კი – ძალზე ღარიბი. მდებარეობდა პრივილეგიურ კლასს ეკუთვნოდა და ამასთან – სულმოღებულს, ქონებრივად შექმნილს. თავისთავად ცხადია, ჩემი აღზრდა უნდა ეკისრა გლეხის ცოლს...

დედაჩემს მოჰგვარეს ერთი საშუალო შექმნილი გლეხის ცოლი, რომელსაც თან მოჰყოლია ჩემი მომავალი მამამძუძუ უთუთია იოსავა. ძიძას რძე ბლომად ჰქონია და გარეგნულადაც ჯანსაღი ყოფილა.

სოფელში, სადაც მიმიყვანეს, ძიძის სამი უფროსი შვილი, ცოტა არ იყოს, მტრულად მომგებებია ვიღაც გადმოსხვეწილს, რომელიც უბოდიშოდა გწოვდი თურმე მათი დედის ძუძუს. ჩემი რძე ეს მტრული განწყობილება შემდეგშიაც კარგა ხანს გრძელდებოდა.

ძიძას თავისი მოვალეობის მეთვალყურედ ჰყვავდა იმავე სოფელში, სამი კილომეტრის მოშორებით მცხოვრები მამამძიძის ბიძა. კვირაში ერთხელ მაინც დახვდებოდა ძიძას ჩემს, მოიკითხავდა თავის დის შვილიშვილს.

სახლი, სადაც შემიყვანა ძიძამ და სადაც უნდა გამეტარებინა ჩემი სიყრმე, ჩემს ძიძიშვილებთან ერთად, მრგვალი ძელებისგან იყო შეკრული და ისლით გადახურული. მთელი სახლი ისე იყო გაკეთებული, ერთ ღურსმანს ვერ იპოვიდით. სადაც ღურსმანი იყო საჭირო, იქ ეხმარათ გარეული თხილის ჩორჩალი. სახლის აქეთ-იქით, კედლების გასწვრივ, ტახტები გაკეთებინათ, ზედ ფინა ჭიკობები და აკეცილი იყო საბან-გობანი. თავით იდგა მჭვარტლისაგან გაშავებული ზანდუკი ხისა და შიგ ელაგა, რაც რამ ძვირფასი ებოდა ძიძაჩემს.

ამ სახლს ჯარგვალი ერქვა, ე.ი. მრგვალი ხეებისგან შეკრული სახლი. ჯარგვალს შუაგულ ალაგას კერა ჰქონდა. სახლს საგანგებო საკვამლე, კვამლის ადგილად და სწრაფად ასასვლელი არა ჰქონდა.

პირველი მიზეზი ჩემი ტირილისა ეს კვამლი ყოფილა: არ დამინდო თურმე ას-

ალი წვერი ოჯახისა, თვალები ამოშვავდა ცრემლებით გამოვიწო. აკვანში არტახებით წაკრულს საშუალება არ მქონია აბეზარი კვამლი მომერიდებინა, ვეღარ მომითმენია და საშინლად ავტირებულვარ, იქნებ რამე მიშველონ-მეთუ. ძიძას აკვანი დაურწვევია. ოღრო-ჩოდრო მიწურზე ჩემი აკვნის რახა-რუხი სათოფზე ისმოდა, აღბათ. აკვანში მაგრად წაკრული ჩემი პატარა სხეული გაჩერებული იყო, სამაგიეროდ, ჩემი თავი აკვნის კედლებს განუწყვეტლევ ეწყვეტებოდა. ძიძას დიდი ენერგია არ დასჭირვებია გავებრუვებინე და დავეძინებინე, გავებრუვებულვარ თუ არა, აკვნის რწვევა შეუწყვეტია.

რამდენიმე დღემ გაიარა. ახლო-მახლო მეზობლებმა გაიგეს თუ არა ჩემი ჩამოყვანა, დენა დაიწვეს, ულოცავდნენ ძიძაჩემს: რა ბედი მოგსვლია, მღვდლის შვილის ძიძობა გდირსებია! თანაც შურით ევსებოდით კული, რომ ასეთი ბედი მათ არ მიადგათ კარზე. ძიძამ იცოდა მათი შურიანობის ამბავი და რომ არ გავეთვალე, აკვანზე, ჩემს თავს ზემოდან, ჩამოჰკიდა სამკუთხედად შეკერილი სამოგვის ნაჭერი ანუ ავგაროხი, რომელში ერთი ბაღასის ყვავილი იდო ავის თვალის ასარიდებელ თვისებისა. ეს ავგაროხი მონათვლის შემდეგ, პატარა ღმირის ჯვართან ერთად, გულზე მკეიდა და მანამდე ვატარებდი, სანამ 11-12 წლისა შევიქნებოდი. ამავე დანიშნულებისთვის იყო დაკიდებული აკვნის ხელზე ზღვის ლოკოინების მძივი. ყველა ამას დაკისრებული ჰქონდათ ჩემი ცვა-ფარვა გადაღვისაგან. მთავარი იყო რკინის ნაჭები, ძიძამ ჩემს პატარა ღვიბს ქვეშ რომ ამომიდო, თავით... აბა, ეს იყო თუ იყო ნამდვილი მფარველი დი ცველი ჩემისთანა ყრმებისა, რაც უნდა დიდი ძალა ჰქონოდა გადაღვის თვალს, ამ რკინასთან მიხლოვებისას, მისი შიშით “ჰქრებოდა” თურმე.

განვლო ხანმა. მე ძიძას შევეჩვიე და ძიძა კიდევ – მე. ძიძიშვილებსაც თითქმის ვცნობდი და სხვებისგან ვარჩევდი. ვისწავლე ხოხვა. ხოხვისაგან ბირძაყები ერთთავად გასვრილი მქონდა მიწით და თან რაც მომხვდებოდა ხელში: ნაცვქვენი იქნებოდა, ნახშირი თუ მიწა, ყველაფერი პირისაკენ მიმქონდა.

ფეხი რომ ავიდგი, დავიწყე ეხოში სიარული და ურთიერთობა გავაბი ამ ეხოში მცხოვრებლებთან: კრუს-წიწილებ-

თან, ქათმებთან, ინდაურებთან, ბატებთან.

მოწინდელი, უკვე ოთხი წლისა გავეხდი. საღამოს ქათმების შერევა საქათმეში, ღორებისა – საღორეში, პატარა ლიტრით წყაროდან წყლის ამორბენინება ჩემს მოვალეობას შეადგენდა. თვალწარს ვადვენდები საშობოდ დასაკველი ღორის გასუქებას: სიმინდს ვუყრიდი გამორჩეულად.

უკვე ცოტ-ცოტათი გამოყვავდი ვარეთ, მაცნობდნენ აქაური ცხოვრების პირობებს, მაწვედნენ არსებობისათვის ბრძოლას. ჩემი აღზრდის “პროგრამაში” შედიოდა: შევედრება ჩემი თავისა როგორც ოჯახის სალოცავებისა, ისე “ძლიერი” ხატებისათვის; ამ ხატების დღეობებზე “მათს კარის წინ” ჩემი მიყვანა, შესაწირავების მიტანა, ჩემი თავის შევედრება, ჩემს მაგიერ მორჩილების გამოცხადება... ჩემი უფროსი ძიძიშვილები ცდილობდნენ ესწავლებინათ ჩემთვის, რაც თვითონ იცოდნენ ცხოვრებაში ფონს გასასვლელად. მასწავლებდნენ, რის გაკეთება არ შეიძლებოდა, ანუ რაც იყო “ტაბუ”, რადგანაც “ტაბუს” დარღვევას, მათი აზრით, მოსდევდა დამრღვევის დაზარალება, ენება, საქმის უკუღმა დატრიალება. აუარებელი იყო ამგვარი აკრძალვა, რომლითაც უნდა შეიარაღებულიყო ბავშვი სიყრმიდან, რომ ცხოვრებაში სუფრის თავში თუ არა, მთლად ბოლოს მი-12 არ მოქცეულყო.

მეც ჩემი ძიძიშვილებისა და მეზობლის ბავშვებისგან ვიძენდი ამ სულიერ ცოდნას, რომ უცოდინარი არ გამოვსულიყავი და გამზრდელისთვის სირცხვილი არ მექმია.

დასრულდა ჩემი როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი აღზრდა ძიძის სახლში. ერთ მშვენიერ დღეს სუფთად ჩაცმული შემსვეს ცხენზე, მუახლდნენ ძიძა და მამამძუძუ, წამიყვანეს ჩემს მოშობლებთან, რომ მათთვის ჩავებარებინე. სახლში გამოსინჯეს, მიმატრიალ-მომატრიალეს. გარეგნულად მოვეწონე, ნაკლი ვერაფერი ჰპოვეს ჩემში. უკვე ძიძას ქალობა, მადლობა უთხრეს, მისცეს: საკაბე, ძროხა, მამამძუძუს – საჩოხე, პატივი სცეს და გამოისტუმრეს.

მე, რა თქმა უნდა, მიგვიროდო ნანახა და ბაბას, რომელნიც ერთბაშად ჩემთვის უცხო ალაგას, უცხო ხალხში მტოვებდნენ. დიდხანს ვტიროდი, ვუხშობდი მათ, მაგრამ ერთიცა და მეორეც ჩემთან უკვე ძალიან შორს იყვნენ.

მთავრად სოფიო ჯავახიძე

ბავშვიდა თუ არა „ქართული ოცნება“ თვითლიკვიდაციის რეჟიმში?

ექსპერტმა ხათუნა ლავაჯიძემ ხელისუფლებას საკმაოდ მკაცრი ვერდიქტი გამოუტანა. მან ფეისბუქგვერდებში არაორაზროვნად განაცხადა, რომ „ხელისუფლება თვითლიკვიდაციის რეჟიმში გადავიდა“.

ბუნებრივია, ეს განცხადება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მოჰყვება, რომელმაც გიგი უფულავას 15-თვიანი პატიმრობა უკანონოდ სცნო და მისი დაუყოვნებლივ განთავისუფლება მოითხოვა.

დედს გიგი თავისუფალია – „ნაცმობრობა“ გამარჯვებას ზემოთს, თუმცა, არავინ იცის, რამდენ ხანს გასტანს უფულავას ფანების ხბოს აღტაცება. მისი მხრიდან ციხის კედლების დატოვება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ უფულავა საბოლოოდ მართლმსაჯულებას გაექცევა (ეს სტრიქონები იწერებოდა მაშინ, როცა გიგი რამდენიმე საათიან თავისუფლებაზე იმყოფებოდა!).

ვეთანხმები ბატონ გია ხუხაშვილს, რომ ეს რაუნდი „ნაცმობრობაზე“ პოლიტიკურად მოიგო, რაც დღევანდელი ხელისუფლების უუნარობას კიდევ ერთხელ ადასტურებს! თუმცა, გადაჭარბებულია საზოგადოების მოლოდინი, რომ ამ „გამარჯვებით“ „ნაცები“ კიდევ უფრო გაძლიერდნენ და მომავალ არჩევნებში ტრიუმფით დაბრუნდებიან ხელისუფლებაში!

ლავაჯიძის სტატუსი გუშინვე დაეაკომენტარე, რომელსაც ახლაც გავიმეორებ: დღევანდელი ხელისუფლების თვითლიკვიდაცია და „ნაცების“ ხელისუფლებაში მობრუნება თავისთავად ერის თვითლიკვიდაციასაც ნიშნავს, რასაც ნამდვილად არ ველოდები – ქართველი ერი დღეს მთელქმარე მდგომარეობაშია და აგონიიდან სწორედ ხელისუფლების ნებისით (შეგნებულ) თუ უნებლიე შეცდომებმა უნდა გამოიყვანოს!

ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოების ნდობა ვერ გაამართლა, არ ნიშნავს იმას, „ნაციონალები“ აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. თუმცა, არც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ჩვენ მუდმივად დაძაბულ „ნაციონალების“ შესაძლო „დაბრუნების“ რეჟიმში ვიცხოვროთ და არაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ უნიათო ხელისუფლებაც „ნაციონალების“ გზას გაუყუენოთ!...

დაიხ, ჩვენ არ გვინდა ჯოჯოხეთურ წარსულში

დაბრუნება, მაგრამ არც მუდმივ სტრესში და გაუგებრობაში ცხოვრების მომხრე უნდა ვიყოთ!

ჯერ კიდევ როდის ამბობდნენ, რომ „ნაცები“ და „ქოცები“ ერთი მთელის ორი ნაწილიაო, ეს ფორმულირება კიდევ უფრო გაამყარა ერთი შეხედვით გარედან თავს მოხვეულმა ოპოზიტივად, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლების ყველა არასწორი ნაბიჯი ბრალდებოდა...

რომ არაფერი ვთქვათ იმ ებადღებულ წინასაარჩევნო დაპირებებზე, სადაც ლომის წილი სამართლიანობის აღდგენაზე, დამნაშავე რეჟიმის (ეს წინასაარჩევნო ლოზუნგი იყო!) განსამართლებაზე და სახელმწიფოს ეკონომიკურ აღმავლობაზე კეთდებოდა, სრულიად საპირისპირო შედეგი მივიღეთ.

სამართლიანობის აღდგენას ვინ ჩივის, კოალიციამ ისიც ვერ მოინდომა (დაიხ, ამის პოლიტიკური ნება არ აღმოჩნდა), ხალხის ოპოზიციამ გადასული პრეზიდენტის საიმპინენტო პროცედურა დაეწყო, რომ რეჟიმის დარჩენილი მამამთავრები კუთხეში მიეჭულიყვნენ და კანონიერი სახელის მოლოდინში ყოფილიყვნენ. ისიც ვერ (თუ არ) გააკეთა, რომ, როგორც გამარჯვებული, ხალხის უპირობო მხარდაჭერას დაყრდნობოდა და სახელმწიფო სისტემა ყველა ოდნობურ ფიგურებსაგან გაენთავისუფლებინა.

თუ სასამართლოს ზონდერმოსამართლეობა მიერ გამოტანილი განაჩენები თავის დროზე კოტე კუბლაშვილს ბრალდებოდა, ღარის კურსის კატახტროფული დაცემა დღემდე გიორგი ქადაგიძის კისერზეა, რომელსაც „ქართული ოცნება“ ვერა და ვერ შეეღია... და ეს ყველაფერი დღემდე დემოკრატიის „ერთგულდებს“ და საერთაშორისო ორგანიზაციების ბრალდებაა...

რა სახელიც არ უნდა დავარქვათ „ნაცებსა“ და „ქოცებს“ შორის არსებულ ურთიერთობას (პრინციპში ეს ურთიერთობა მოჩვენებითად დაძაბული, სინამდვილეში კი პარმონიული), ერთი რამ უდავოა – ქვეყანა ინერციით უსკრულისკენ მიეჭნება!...

ახლა ისევ უფულავას დაუბრუნდეთ – ამას წინათ ციხიდან გამოსულმა დაიქანდა: ჩვენ 2016 წელს არსებული საარჩევნო სისტემითაც „აბაროტს“ ავიღებთ! მეტი არაა ჩემი მტერი, „ნაციონალებმა“ აბაროტის ალება შეძლონ

(მაშინ როგორც ვთქვი, ერი თვითლიკვიდაციის რეჟიმში უნდა გადავიდეს!), მაგრამ ნორმალურ ვითარებაში ამის თქმასაც არ უნდა ბედავდნენ (ვერ გავიგე, ჩვენ, ხალხს, ამომრჩეველს არაფერს გვეკითხებიან?), თუმცა, თუ საზოგადოება დროზე არ გამოფხიზლდება, არ გამოვრიცხავ, „ნაციონალებმა“ დაძაბულობის მუდმივი კერები შექმნან და ქვეყანა ქოხისკენ წაიყვანონ, რისი უფლებაც არ უნდა მივეციო!...

ნიშანდობლივია ისიც, რომ თუ ხელისუფლება თავის გასაკეთებელს (რაც კანონით ევალება) არ გააკეთებს და სტრატეგიას არ შეცვლის, მაშინ ეს მისია თავად ხალხმა უნდა იკისროს!

მართალია, არჩევნებამდე დარჩენილ დროში ძნელია ახალი, ჭკუშიარტად სახალხო პოლიტიკური ძალის ფორმირება, მაგრამ, თუ ერში ამის მზაობა იქნება, შეუძლებელი არაფერია. მთავარია, საზოგადოებამ მოახლოებული საშიშროება დროზე გააცნობიეროს!

მინაწერი: მეც იმ ადამიანების სიაში ვარ, ვინც მიინეგეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ასრულებულიყო. სხვა საკითხია, რატომ მიიყვანა აქამდე საქმე საქართველოს პროკურატურამ!...

შეიძლება უფულავა საკანს მალე დაუბრუნდეს, მაგრამ გია ხუხაშვილის თქმისა არ იყოს, ეს უფრო მეტად „გააშავებს“ დღევანდელ ხელისუფლებას საკუთარი ხალხის თვალში და საერთაშორისო ასპარეზზეც ისედაც დამცრობილი იმიჯი კიდევ უფრო დაიმცრობა.

მე თუ მკითხავთ, უფულავას დაჭერა-განთავისუფლებას ასეთი ავიოტავი არც უნდა მოჰყოლოდა – რომელი ცოტნე დადიანი ევა მყავს, საკუთარი „ხარაკით“ თვალები დაგვიბრძალოს და ერი აყოლიოს!

რაც შეეხება საზოგადოებიდან წამოსულ პრეტენზიას საქართველოს პროკურატურის მისამართით, რა შუაშია პროკურატურა? მთელი პასუხისმგებლობა ამ ვაკხანალიაზე ხელისუფლების კისერზეა, რომელიც პროკურატურის საქმიანობაზეც აგებს პასუხს.

საზურ ნაჭყებია



ახალი პოლიტიკური კალა საქართველოში: ხაზარაძე, ბაჩქალიძე & პატარკაცივილის ოჯახი? არნო ხილირბეგივილი მა მიიღო წერილი, რომლის შესახებაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ ბომელაშვილმა უნდა იცოდეს



საქინფორმის მთავარი რედაქტორის არნო ხილირბეგივილის პირად e-mail-ზე მოვიდა შემდეგი წერილი:

„საინფორმაციო სააგენტო „საქინფორმის“ მთავარ რედაქტორს, ბატონ არნო ხილირბეგივილს პატივცემულო არნო,

აღნიშნულ მიმართვას გიგზავნით პირთა ჯგუფი, რომელიც საკმაოდ ახლოს დგას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პრობლემებიდან და მოცემული მიმართვებით ზოგიერთ პროცესზე ზეგავლენასაც ახდენს. სამწუხაროდ, არა ყველაზე რიგი, ძირითადად, სუბიექტური მიზეზების გამო. ამავე მიზეზებით ჩვენს მიმართვას გარკვეულად ანონიმური ხასიათი აქვს. აღნიშნული მიმართვის არსი საქართველოსთვის აქტუალურ საკითხში მდგომარეობს, რომლის შემდგომ განვითარებასაც შეუძლია მნიშვნელოვნად იმოქმედოს არა მარტო საქართველოს შიდაპოლიტიკურ სიტუაციაზე, არამედ გარკვეული ცვლილებებიც შეიტანოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში.

როგორც ჩვენთვის ცნობილი შეიქნა, მალე საქართველოში ასპარეზზე გამოჩნდება ახალი პოლიტიკური ძალა, რომელსაც მხარს უჭერს ცნობილი ბიზნესმენი ბადრი

პატარკაცივილის ქვრივი და ძირითადი მემკვიდრე. ახალი პარტიის ლიდერები შესაძლოა იყვნენ წარსულში ცნობილი საქართველოს პოლიტიკური მოღვაწენი, რომელთაგან ერთმა, ლევან გაჩეჩილაძემ, უკვე დაიწყო აქტიური მოლაპარაკებების წარმოება შესაძლო თანამოაზრეებსა და პარტნიორებთან.

სიტუაციის უჩვეულობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ცნობილმა ქართულმა ბიზნესმენმა მამუკა ხაზარაძემ, რომელსაც ზეწოლის რეალური ბერკეტები აქვს როგორც პატარკაცივილების ოჯახზე, ასევე საქართველოს მთავრობაზე.

საქმე ისაა, რომ პატარკაცივილების ოჯახს თავის აქტივებში აქვს „ბორჯომის“ (კომპანია IDS Borjomi) აქციების 37%-იანი წილი, რომელიც, სხვადასხვა მაქინაციის (ძირითადად, კომპანია Salfird Capital Partners-ის დახმარებით ჩატარებული ფინანსური ოპერაციებისა და გარიგებების გზით) ხაზარაძის კონტროლქვეშ რჩება და მას ნებისმიერ მომენტში შეუძლია, საკმაოდ სოლიდური კაპიტალი (300 მლნ დოლარამდე) პოლიტიკურ აქტივად გადააქციოს.

როგორც ცნობილია, 2011 წლის 6 ივლისს ხელი მოეწერა მშვიდობიან შეთანხმებას (Settlement Agreement) ბადრი პატარკაცივილის ოჯახსა, რომელსაც წარმოადგენდნენ მისი მეუღლე ინა გუდავაძე, დედა ნათელა პატარკაცივილი და ორი ქალიშვილი – უფროსი ლიანა ჟორჯიანი (ქმრის გვართი) და უმცროსი ია პატარკაცივილი, და საქართველოს ხელისუფლების ყველა სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლებს შორის, საქართველოს იუსტიციის მინისტრი თინა ბურჯულიანის სახით. აღნიშნული შეთანხმების ტექსტი აქამდე ძნელად ხელმისაწვდომია, თუმცა დარეგისტრირებულია წესისა და რიგისამებრ. ის არ მოიპოვება სასამართლო რეესტრსა და აქტივებში.

აღნიშნული ვითარების ძირითადი მიზეზი, როგორც ჩანს, იმაში მდგომარეობს, რომ ორივე მხარემ რამდენადმე გადაუხვია საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს.

აღნიშნული შეთანხმების თანახმად, ხელისუფლებამ პატარკაცივილების ოჯახს თითქმის 400 მლნ დოლარი უნდა გადაუხადოს. რაკიდა გარიგება ძველი ხელისუფლების დროს არ დახურულა, ამ თანხის გადახდა მოქმედ ხელისუფლებას მოუწევს. ჯერჯერობით აღნიშნული მიმართვებით მხარეები სიტუაციის ფორსირებას არ ახდენენ, რადგან ოჯახს რეალური პოტენციური შესაძლებლობა აქვს, უკან მიიღოს არა მარტო ოდენობა მისი კუთვნილი აქტივები, არამედ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სხვა ობიექტებიც. ასევე, ყურადსაღებია ის, რომ ოჯახი, რომელსაც საკუთარი ძლიერი ტელეკომპანია „იმედი“ და გარკვეული პოლიტიკური ამბიციები აქვს მომავლისთვის, თავისუფლად შეუძლია ჩვეულებრივი კაპიტალის პოლიტიკურ კაპიტალად ქცევა. და სწორედ აქ საკანაო როლს თამაშობს იგივე მამუკა ხაზარაძე, რომელმაც ამ 400 მლნ დოლარის საკითხის დარეგულირება საკუთარ თავზე აიღო, რითაც, გარკვეულწილად აშანტაჟებს საქართველოს ხელისუფლებას.

პატივცემულო არნო, ჩვენი მიზანია ქართველი საზოგადოებისა და საქართველოს ხელისუფლების ყურადღებ (ჩვენ უკვე ვიზრუნეთ პრემიერ-მინისტრის ინფორმირებაზე, თუმცა დარწმუნებული არ ვართ, რომ წარმატებით, რადგან საკმაოდ ბევრი დრო გავიდა) მიიტანოთ საქმის ჭეშმარიტი ვითარება. ვიმედოვნებთ, რომ თქვენი დახმარებითა და მხარდაჭერით ზეგავლენას მოახდენთ სიტუაციაზე, რომელიც უკვე გამოვიდა კონტროლიდან. იმედი გვაქვს, ასევე გაგზავნისა და მხარდაჭერის, რომელსაც ჩვენ, ჩვენი მხრიდან, გაირღვევით მომავალში, ჩვენი და თქვენი მეგობარი ქვეყნებისა და მომხმარებლის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით, ალმესანდრე სერგოლოვი

საქინფორმს ეს წერილი თვეზე მეტია არ გამოუქვეყნებია – მოვლენების განვითარებას ველოდით და ამავდროულად, ცნობებს ვკრებდით. როგორც თვით ზედაპირულმა შემოწმებამ აჩვენა, წერილში გადმოცემული ინფორმაცია სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. ამიტომ საქინფორმმა მიმართა უსაფრთხოების პრობლემების ანტიკრიზისული ცენტრის იურიდიულ და სამართლებრივ საკითხთა დეპარტამენტს თხოვნით – დეტალურად გამოიძიოს ზემოთცემულ წერილში მოყვანილი თემები.

საქინფორმი გამოაქვეყნებს წერილში მოცემული ფაქტების ექსპერტულ შეფასებას, ასევე უსაფრთხოების პრობლემების ანტიკრიზისული ცენტრის ხელმძღვანელი დავით ფურცხვანიძის ვრცელ კომენტარს.

საქინფორმის რედაქციის

გაზეთი “ილოროს” კომენტარი: ცნობილ ქართველ მწერალსა და დრამატურგს, სულგანათლებულ ოტია იოსელიანს ერთხელ არც მთლად ხუმრობით უთქვამს: “საქართველოში თუ გინდა რამეს მიადწიო, ან ხელიდან უნდა წახვიდე, ან ქვეყნიდან...”. სანიმუშოდ წესიერი პიროვნება ოტია იოსელიანი რომ ხელიდან არ წავიდოდა, ამაში ეჭვს ყველაზე გათანხმებული სკეპტიკოსიც კი ვერ შეიტანს. მიუხედავად არსებული ცხოვრებისეული პრობლემებისა, იგი არც სამშობლოდან წასვლას ცდილა არასდროს – სამარადჯამოდ შერჩა მისთვის სათაყვანებელ საქართველოს და ჩვენთან ერთად იზიარებდა ერის ჭირსა თუ ღვინს.

ხაზარაძისთანებისთვის ოტია იოსელიანის ცხოვრების წესი ვერსაოდეს იქცევა სანიმუშოდ, იმიტომ, რომ მისნაირი მანქანებისათვის ეს ცხოვრება დუმილა, რომელიც ბასრი დანით უნდა ჩამოთალო და მიერთვა... მაგათი ჯერიც სულ მალე მოვა და საქართველო საბოლოოდ განათვისუფლდება სისხლისმწიველი და შნაკი წურბელებთან.

უკრაინული მედია სააკაშვილის ქართულ და უკრაინულ “ჰარამხანაზე” – მიშას ქალები “საიდუმლო მასალებში”



უკრაინულ ტელეარხზე “2+2” მიხეილ სააკაშვილის სიუჟეტი მიუძღვნეს, სადაც გადაცემა “საიდუმლო მასალებში” ავტორებმა “გამოიძიება ჩაატარეს” და მაყურებელს უამბებს არა მხოლოდ ის, თუ როგორ შეიძლება ოდესის ოლქში კარიერის გაკეთება, არამედ გაიხსენეს სააკაშვილის “ამურული დამსახურებები” საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის პერიოდში.

“ამჟამად ოდესის ოლქში წარმატებული ჩინოვნიკის კარიერის ასაწყობად ძალიან ცოტა რამაა საჭირო: თუ მამაკაცი ხარ, უნდა იყო ქართველი, ხოლო თუ ქალი ხარ, უბრალოდ, უნდა იყო ღამაზი 30 წლამდე გოგონა. სააკაშვილს ყოველთვის უყვარდა ღამაზი ქალების დახმარება – სასიყვარულო ისტორიები ჯერ კიდევ საქართველოში მმართველობის

დროიდან იწყება”, – ყვებიან სიუჟეტში. უკრაინის ტელევიზია მაყურებელს შეახსენეს, თუ როგორ ხდებოდა მიხეილ სააკაშვილის საქართველოს პრეზიდენტობის დროს მომხიბვლელი გოგონების კარიერული წინსვლა.

“2005 წელს სააკაშვილის პრეს-მდივანი ვახტანგ 20 წლის ჟურნალისტი ალანა გაგლოვა. მოგვიანებით მომდევნო ნინა წერილაშვილი შოუ-ბიზნესიდან ქვეყნის კულტურის სამინისტროში აღმოჩნდა. 2010 წელს კანადიდან ჩამოსული ვერა ქობალია მომენტალურად დაინიშნა ეკონომიკის მინისტრის პოსტზე. “პრეზიდენტის პარამხანიდან” ჩინოვნიკის პოსტზე მოხვდნენ აგრეთვე ხათუნა კალმახელიძე და ნინო კალანდიაძე”, – ნათქვამია სიუჟეტში.

უკრაინაში მოხვედრის შემდეგ, სააკაშვილმა საკუთარი ჩვევები არ დაივიწყა, – აღნიშნავენ სიუჟეტის ავტორები.

“მაგალითად, ახლა ოდესის გუბერნატორის მოადგილის პოსტზე “ფასდაუდებელი სპეციალისტი” იულია მარუშევსკაიაა, რომელსაც თანამდებობაზე დანიშნამდე საერთოდ არ ჰქონია სამუშაო გამოცდილება. ახლახან “პარამხანა” შეივსო 28 წლის ანა პენოვათი, რომელიც ოდესის პოლიციის პრეს-სამსახურს ჩაუდგა სათავეში. აგვისტოში “სილაზაზის დამფასებელმა”

მიხეილ სააკაშვილმა განცხადება გააკეთა, რომ სამსახურიდან გავედით სასაზღვრო სამსახურის ყველა თანამშრომელი და ისინი ჩვენაცვლებინათ “სამოდელი გარეგნობის ახალგაზრდებით”, – ყვებიან “2+2”-ზე გასული სიუჟეტის ავტორები.

ამას წინათ კი რუსეთის ტელევიზიამ “HTB” მაყურებელს უჩვენა დოკუმენტური ფილმი იმის თაობაზე, თუ როგორ “ერთობოდა” გარყვნილი მიხეილ სააკაშვილი ვიღაც ამერიკელ არასრულწლოვან ტრანსგენდერ ოლესიასთან, რომელიც ჯერ კიდევ სამი წლის წინ, რამდენიმე პლასტიკური ოპერაციის გაკეთებამდე, ვაჟი იყო და ალექსი ერქვა. როგორც ჩანს, რუსებიც საკმაოდ გულუბრყვილოები არიან, თუ ფიქრობენ რომ სააკაშვილის ამგვარი გარყვნილი ქმედებების გამოხიზვებით მის ავტორიტეტს შეარყევენ ევროპაში ან ამერიკაში. კომოსექსუალური და ლესბოსური ქვშირები რუსეთსა და საქართველოში გახლავთ მიუღებელი, თორემ იმ ევროპასა და ამერიკაში, სადაც ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაცია ადგილობრივი საზოგადოების დიდ გამარჯვებად მიიჩნიათ, მიხეილ სააკაშვილის კომოსექსუალური მიდრეკილებები გაბირობად იქნება შეფასებული და იგი შეიძლება საკმაოდ უხვად დააჯილდოონ კიდევ...

მასმედია პატრულის წინააღმდეგ სკანდალურ ვიდეომასალებს აქვეყნებს

პოლიციის უფროსმა ლეიტენანტმა გიორგი ბაბუნაშვილმა ერთ-ერთი სკანდალური ჩანაწერის შემდეგ საქართველო დატოვა და ახლა ევროპაში პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს. ერთ-ერთი ვიდეოჩანაწერის მთავარი გმირი სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს უფროსის მოადგილის ლევან იხორია ძმაა. სკანდალური კადრები ტელევიზიით გავრცელდა.

ვიდეომასალებიდან, რომელიც საპატრულო პოლიციის უფროსმა ლეიტენანტმა შინაგან სამინისტროდან წამოიღო, დგინდება, რომ საიდუმლო დოკუმენტები ე.წ. “ნარუშილოვკა” სამინისტროს მაღალჩინოსნებმა ნათესავეებს და მეგობარ გოგონებს დაურიგეს, – იუწყება გადაცემა. ე.წ. “ნარუშილოვკა” უშუალოდ მინისტრის ბრძანებით გაიკეთა და მისი გამოყენების უფლება მხოლოდ ოპერატიულ მუშაკებს აქვთ, ისიც იმ შემთხვაში, თუ ისინი სპეციალური დაავადების შესასრულებლად მიდიან. სამართალდამცველებს არ აქვთ უფლება განხრიკონ ან გააჩერონ პირი, რომელსაც ეს საბუთი აქვთ.

ამ დოკუმენტით შესაძლოა, ავტორობილით საზღვარზე გადმოიტანო ყველაფერი, მათ შორის ნარკოტიკები და იარაღი, ხოლო მესაზღვრეს და შსს-ს სხვა დანაყოფს ამ ავტორიბლის ჩხრეკის უფლება არ აქვს, – დასძენს სიუჟეტის ავტორი. მასმედიის ცნობით, გიორგი ბაბუნაშვილის მიერ ჟურნალისტებისთვის გადაცემული იმ სკანდალური მასალების მხოლოდ ერთ ნაწილს შეიცავს, რომელიც გიორგი ბაბუნაშვილმა პოლიციაში მუშაობის დროს გადაიღო და შეინახა. სკანდალურ ვიდეოინტერვიუში პოლიციის უფროსი

ლეიტენანტი ყვება, როგორ იყენებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები საპატრულო პოლიციას პირადი მიზნებისთვის და ნათესავეების ქორწილიდან გამოსული ნახვამი მძღოლების სახლამდე საპატრულო ეკიპაჟებით მიცივლებას აიძულებდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროსი ლეიტენანტი გიორგი ბაბუნაშვილი ყვება, რომ სამინისტრო 8 თვის წინ დატოვა. გიორგი ბაბუნაშვილის საპატრულო 305-ე ეკიპაჟის თანამშრომელი იყო. ეს ის ეკიპაჟია, რომელიც ურჩი მძღოლის ეკა ყურშიღაშვილის საქმეში ფიგურირებს.

სიუჟეტში ნათქვამია, რომ ყურშიღაშვილის საქმიდან რამდენიმე თვეში გიორგი ბაბუნაშვილი ხელმძღვანელობდა დაიბარა და უთხრა, რომ მეგობრის ქორწილში მარხუნა მოწია, რის გამოც სამსახურიდან ათავისუფლებდნენ. ბაბუნაშვილს პოლიცია დაატოვებინეს და იმის შიშით, რომ მის წინააღმდეგ რეპრესიები არ გაგრძელდებოდა, ის საქართველოდან წავიდა, ახლა პოლიციის უფროსი ლეიტენანტი პოლიტიკურ თავშესაფარს ევროპაში ითხოვს.

დედა-ეკლესიას მოწყობილი იერუსალიმის წმინდა სალომეონი

წმიდა პროხორე მის მიერ დამზადებულია თუ მოგებულ ხელნაწერს ჯვარს სწორავდა და ამით საფუძველს უყრიდა იქაურ წიგნსაცავს. მისი თანამედროვენი საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ პროხორემ „ჯვარსა შინა დასხნა ყოველივე შუენიერნი და კეთილნი წიგნნი საღმრთონი“.

ამრიგად, ჯვრის მონასტერში გახშირდა ხელნაწერთა გამრავლება. გარდა დასახელებულისა, ცნობილია კიდევ რამდენიმე ხელნაწერი, რომელიც ჯვარში დამზადდა პროხორეს სიცოცხლეში. შეიძლება დავი-მოწყოთ, მაგალითად, გაბრიელ საყვარელის მიერ 1061 წელს „მონასტერსა წმიდისა ჯვარისასა, მამობასა გიორგისასა“ გადაწერილი პარაკლიტონი, მის მიერვე გადაწერილი (1062 წ.) ოთხოთაი, რომელიც „სალოცავად სულისა მოძღურისა გიორგი-პროხორესისა და მამისა გიორგისა“ მოუკია ჯვრის დეკანოზს დანიელს, და სხვ.

ხელნაწერთა გამრავლება და ზოგჯერ ორიგინალურ-შემოქმედებითი საქმიანობაც შეინიშნება წმიდა პროხორეს გარდაცვალების შემდგომ ხანაშიც. მაგალითად, მიქაელ დვალმა, რომელიც ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ როგორც ხელნაწერთა დამზადების მონაწილე, პროხორეს გარდაცვალების შემდეგ გადაწერა ჟამნი.

XI საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწე უნდა იყოს ის უცნობი ქართველი მწიგნობარი, რომლის კალამს ეკუთვნის ჩვენს მიერ ზემოთ დამოწმებული „პროხორეს ცხოვრება“. ამ ძეგლის მნიშვნელობა პალესტინის ქართული კოლონიის ისტორიისა და იერუსალიმელ ქართველთა კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობის შესასწავლად ძალზე დიდია. არსებითად იგია უპირველესი და უსრულესი წყარო ჯვრის მონასტრის აღმშენებლის – პროხორეს ბიოგრაფიის შესასწავლად. მართალია, როგორც ვნახეთ, ცნობები პროხორეზე სხვა წყაროებშიც გვხვდება, მაგრამ სვინაქსარული „ცხოვრების“ მნიშვნელობა განსაკუთრებულია. არსად, არც ერთ წყაროში არაა მოცემული პროხორეს ბიოგრაფია. ასე რომ, უცნობი ავტორის ნაწარმოები მრავალმხრივ საყურადღებო პირველწყაროა.

XI საუკუნის მეორე ნახევარში, 1066 წლის ახლოს, ჯვრის მონასტერში დამზადდა სვინაქსარი, რომელიც ცნობილია როგორც ალაპებით, ისე ქართველ მოღვაწეთა სვინაქსარული „წამება-ცხოვრების“ ტექსტებით. იგი გადაწერილია ჯვრის კრებულითაგან; მასში ადრევე შეიტანეს „პროხორეს ცხოვრება“ და პირველი ალაპი. შემდეგ იგი მონასტრის სააღაპე წიგნად იქცა. კვიან ხანაში (XV ს.) მასში შეიტანეს სხვა ქართველ მოღვაწეთა – წმიდა დუკასა და ნიკოლოზის სვინაქსარული „წამებანი“.

ახლად აღმოცენებულ საგანეში ინტენსიურად გაშლილი მწიგნობრულ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად წმიდა პროხორეს მიერ დაარსებული წიგნსაცავი სწრაფად გაიზარდა. საგულისხმოა, რომ იგი მდიდრდებოდა არა მხოლოდ ადგილზე – ჯვრის საგანეში – გიორგი-პროხორეს, თანაც დვალის, შავი თიანეთა და სხვათა მიერ დამზარებული ხელნაწერებით, არამედ სხვა ქართულ კერებში გადაწერილი წიგნებითაც. ჯვრის მონასტერს შესწირეს ხელნაწერები კალიბოსელებმა, საქართველოში მოღვაწე მწიგნობრებმა და სხვ. ჯვრის ხელნაწერთა კოლექცია ამჟამად ძირითადად იერუსალიმშია, ნაწილი კი ინახება სინას მთაზე.

ამრიგად, ჯვრის მონასტერი დაარსებისთანავე იქცა ქრველ მწიგნობართა მნიშვნელოვან საკრებულოდ, ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის კერად. უკვე პროხორეს წინამძღვრობის პერიოდში გაჩაღდა იქ ღვთივსულიერი ლიტერატურული საქმიანობა, რომელიც წარმატებით გრძელდებოდა მრავალი წლის მანძილზე, რასაც თვალსაჩინო წარმოაჩენს და აღასტურებს იქაურ ხელნაწერთა კოლექცია. მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც შესამჩნევია, რომ იერუსალიმელ ქართველთა შემოქმედებითი მუშაობა რამდენადმე შეზღუდული იყო. ჯვრის საგანე

ძირითადად კალიგრაფთა კერას წარმოადგენდა; ის ადრინდელ ქართულ საგანეებს, რასაკვირველია, საგრძობლად ჩამორჩებოდა. საერთოდ პალესტინელ ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა ძველებური (VIII-X სს.) მასშტაბისა და გაქანებისა აღარ იყო. ქვემოთ ვნახათ, რომ გიორგი-პროხორეს მომდევნო ხანაში იერუსალიმელი ქართველები ეკონომიკურად და უფლებრივად ძლიერდებიან, საგანეთა რიცხვი იზრდება და მწიგნობრები განაგრძობენ ლიტერატურულ საქმიანობას, მაგრამ პალესტინის ქართულ კოლონიას მაინც აღარ ძალუძს ძველი დიდების შენარჩუნება. ამის მიზეზი იყო, ერთი მხრივ, მაჰმადიანურ გარემოცვაში მომწყვედი იერუსალიმის მოწყვეტა ბიზანტიის კულტურული ცენტრებისაგან, მეორე მხრივ, ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობის გაცხოველება, რასაც შედეგად მოჰყვა საკუთრივ ბიზანტიის ტერიტორიაზე თუ მისი გავლენის სფეროში ქართული საგანეების აღმოცენება და იქ ქართველთა შემოქმედებითი ცენტრების გადანაცვლება.

მიუხედავად იმისა, რომ პალესტინის, კერძოდ, იერუსალიმის ქართულ კოლონიას აღარ ჰქონდა ძველებური დიდი კულტურული მნიშვნელობა, ქართველ მოღვაწეთა სწრაფვა იქაური საგნებისაკენ მაინც შესამჩნევია იყო. საგულისხმოა, რომ მგზავნი წესის მიხედვით, პოლიტიკური არეულობა და გაუთავებელი ბრძოლა, რაც გააძლიერებდა მიმდინარეობდა მრავალი წლის მანძილზე, ვერ აფრთხობდა ქართველ პილიგრიმებს, ვერ ანელვდა ქართველთა ინტერესს იერუსალიმისადმი.

ჯვრის მონასტერი გადაურჩა ლათინებს. ეს განაპირობა არა მხოლოდ ამ მონასტრის იერუსალიმის გარეშე მდებარეობამ, არამედ საქართველოს პოლიტიკურმა აღმავლობამ და ჩვენი წინაპრების თავგანწირულმა ბრძოლამ მაჰმადიანთა წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა თურქ-სელჩუკთა თუ სხვათა ძალების შესუსტება და საქართველოს ავტორიტეტის ზრდა საქრთაშორისო არეანაზე.

საინტერესოა დავით აღმაშენებლის ცხოვრების ერთი მომენტი, რომელიც იერუსალიმს ეძღვნება.

როგორც ცნობილია, იერუსალიმში მხოლოდ ქრთველ ბაგრატიონებს ჰქონდათ უფლება შესულიყვნენ ცხენზე ამხედრებული, იარაღითა და შტანდარტით აღჭურვილები. სხვა დანარჩენი არაეზრადელები კი იერუსალიმში შედიოდნენ ცხენებზე დედაკაცებით გადამსხდრები იარაღისა და შტანდარტის გარეშე.

მაინც რატომ ჰქონდათ ქართველ ბაგრატიონებს ამგვარი პრივილეგია?

საქმე შემდეგშია – 1089 წელს, საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლისთანავე, როცა დავითს ეს ეს იყო შეუსრულდა 15 წელი, მან წერილი მისწერა რომის პაპს ურბან მეორეს, რომელიც უკვე ამხადებდა პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობას იერუსალიმზე. ქრისტეს საფლავის დასახსნელად. სავარაუდოდ, ამ წერილის ნამდვილი ავტორი დავითის აღმზრდელი გიორგი ჭყონდიდელი გახლდათ. აღნიშნული უსტარში დავითი წერდა, რომ ვერავითარი ჯვაროსნული ლაშქრობებით ვერ დავიხსნით ურჯულთაგან ქრესტეს საფლავს და თუ მაცხოვრის განსაცხვენებელზე ქრისტისათა გავლენის აღდგება გვინდა, იქ უნდა შევქმნათ ერთიანი ისრაელის სახელმწიფო. და ეს სახელმწიფო უნდა შეიქმნას ორი დიასპორის – სურამისა და ესპანეთის ებრაელების ხარჯზე. „ვიდრე მათაც არ შეპარვითა ევროპული შიში“. სამასი წელი იდგა ეს საკითხი ვატიკანის დღის წესრიგში, მაგრამ ვერც ურბან მეორემ და ვერც მომდევნო პაპებმა გადაწყვეტილება ვერ მიიღეს, რადგან ვატიკანი ებრაელებს აბრალებდა ქრისტეს მოკვინებას და ისრაელისათვის დახმარების გაწევას მკრეხელობად თვლიდნენ (არა და, თუ საქმეში ღრმად ჩავეხედოთ, დავრწმუნდებით, რომ ქრისტე სიკვდილით სწორედ რომაელებმა დასაჯეს და არა ებრაელებმა, რადგან ებრაელების წესით სიკვდილით დასჯის მეთოდი გახლდათ ქვით ჩაქოლება, ჯვარზე

გასმით კი სწორედაც რომაელები სჯიდნენ დამნაშავეებს. თანაც, ებრაელები სიკვდილით დასჯის განაჩენს სისრულეში არ მოიყვანდნენ მანამ, ვიდრე თანხმობას არ მიიღებდნენ მსოფლიოს ყველა დიასპორიდან, რასაც ზოგჯერ ათწლეულები სჭირდებოდა. ქრისტე კი სიკვდილით დასაჯეს განაჩენის გამოტანისთანავე, რაც ასევე რომაული წესი გახლდათ. მართლაც ავად შემოუტრიალდა ევროპულ საქრისტიანოს ეს ჯვაროსნული ლაშქრობები, რადგან ჯვაროსნები გზადაგზა სწორედ ქრისტისაწინააღმდეგობებს მარცვავენდნენ და მშვიდობის სტოვებდნენ. მდღეიერმა სურამელმა ებრაელებმა კი დიდადი ოქრო შეუგროვეს დავით აღმაშენებელს, რომლითაც მან დაიწყო ომი საქართველოს განთავისუფლებისათვის. ფაქტია, რომ ომს დიდადი ფული და ოქრო სჭირდებოდა.

მიუხედავად ყოველივესი, ჯვაროსნთა პირველმა ლაშქრობამ გარკვეული გავლენა მოახდინა ქრთველთა ცხოვრებაზე როგორც იერუსალიმში, ისე საკუთრივ საქართველოში. მას უთუოდ დიდი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის. შემთხვევითი არაა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მაჰმადიანთაგან იერუსალიმისა და ანტიოქიის განთავისუფლების აღნიშვნის შემდეგ უშუალოდ მოგვითხრობს ჩვენი ქვეყნის გაძლიერებაზე: „გამოვიდეს ფრანგნი, ავიდეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწყვიტა ღმრთისათა მოყვანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიხამებოდეს ქართლს“.

ჯვაროსნთა წარმატებამ ხელი შეუწყო დავით აღმაშენებლის გაძლიერებას, ხოლო, თავის მხრივ, ქრთველთა ბრძოლა მაჰმადიანურ სამყაროსთან ჯვაროსნებისათვის მხარდაჭერასა და დახმარებას წარმოადგენდა. საგულისხმოა ფრანგი გოტიეს აღტაცება დიდგორის ომში (1121 წ.) ქრთველთა ბრწყინვალე გამარჯვების გამო. მართლაც, დიდგორის ომში ქრთველთა გამარჯვება ჯვაროსნებისათვის დახმარების გაწევასაც ნიშნავდა. საქართველოს გამარჯვება განმათავისუფლებელ ომში, რომელსაც თურქ-სელჩუკთა ძალების შესუსტება მოჰყვა, ხელს უმართავდა ჯვაროსნებს ახლო აღმოსავლეთში. ამიტომაც ჯვაროსნთა თავკაცები საქართველოს თავის მოკავშირედ მიიჩნევდნენ და მასთან უშუალო კონტაქტის დამყარებასა და დაახლოებას ცდილობდნენ. საგულისხმოა, რომ დავით აღმაშენებლის თავგანწირულმა და საარაო ბრძოლამ მაჰმადიანთა მკრთობლებისაგან სამშობლოს დაცვისა და გაძლიერებისათვის განაპირობა მასზე ლეგენდების შექმნა და გავრცელება ჯვაროსნთა შორის.

დავით აღმაშენებელი არა მარტო მაჰმადიან მტრებს ებრძოდა, არამედ, საერთოდ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახლო აღმოსავლეთს. მას ამოძრავებდა როგორც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო მიზანი – ქრთველთა უფლებების დაცვა-წარმოჩენა წმიდა მიწაზე. მისთვის სავსებით ნათელი იყო, თუ რაოდენ დიდი კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთში არსებულ ქართულ საეკლესიო კოლონიებს. მემატინის ცნობით, დავითმა „ლაგვანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღაღეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, ადაგნა კეთილითა, უფროსდა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. და მყოფნი იერუსალიმისანი თვითოფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა“.

ახლო აღმოსავლეთში ჯვაროსნთა ლაშქრობამ და მაჰმადიანთა შევიწროებამ, ერთი მხრივ, და დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს ძლიერებამ და საერთაშორისო ავტორიტეტმა, მეორე მხრივ, განაპირობა იერუსალიმელ ქრთველ მოღვაწეთა მდგომარეობის გაუმჯობესება. თურქ-სელჩუკთა მიერ იერუსალიმის აღე-

ბის შემდეგ დარბეული და ნაწილობრივ დანგრეული ჯვრის ტაძარი აღდგა, განახლდა და მოიხატა. ქრთველთა საგანეში სა-მონასტრო ცხოვრება გამოცოცხლდა. ყოველივე ეს იყო ბუნებრივი შედეგი დავით აღმაშენებლის მზრუნველობისა და მშვენიერი დემონსტრაცია საქრთველოს პოლიტიკური ძლიერებისა.

XII საუკუნის დამდეგიდან მოგვეპოვება ორი არაქართული მოღვაწის ცნობები ჯვრის მონასტრზე. 1102-1103 წლებში ჯვარი ინახულა, ეკლესია, დაზიანებული სენაკები და მინაშენები დაათვალიერა მოგზაურმა ზეველფმა. რუსმა მოღვაწემ დანიელ წინამძღვარმა, რომელიც 1106-1108 წლებში იყო იერუსალიმში, ჯვარი ნახა აღდგენილი, განახლებული და მოხატული.

საგულისხმოა, რომ დასახლებული მოღვაწენი აღფრთოვანებით წერდნენ ჯვარზე, საგანგებოდ წარმოაჩენდნენ მის სიდიადესა და სილამაზეს (როგორც ჩანს, მნახველთა ყურადღებას იპყრობდა ქრთული ტაძრის დიდებული მოხატულობა).

საქართველოდან მიღებული შეწირულობებით აღდგენილ-განახლებულ საგანეში მომრავლდნენ ქრთველი სასულიერო მოღვაწენი. სამონასტრო ცხოვრების გამოცოცხლების კვლადაკვალ გაიშალა ჯვრის ქრთველ მწიგნობართა საქმიანობა, მომრავლდნენ კალიგრაფები, გაგრძელდა ხელნაწერთა დამზადება.

ტრადიციული გადმოცემით, ამ პერიოდში ჯვარში მოღვაწეობდა არა მხოლოდ კალიგრაფთა ჯგუფი, არამედ ისეთი ცნობილი მწერალი და მოაზროვნე, როგორცაა არსენ ივალთოელი (XI-XII სს.).

ტ. გაბაშვილის ცნობით, „არსენი ვანნაძე, კაცი ფილოსოფოსი და მთარგმნელი ღრმთა წერილთა, მოძღვარი დავით აღმაშენებლისა“ ერთხანს ჯვრის მონასტერში ცხოვრობდა. მისივე სიტყვით, „წმიდა მამა არსენი იბადის ძე ქრთველი, გვარად ვანნაძე, ფილოსოფოსი“ მონასტრის მთავარი ეკლესიის კედელზე იყო გამოხატული; თბაგრატიონის ცნობით, არსენ ივალთოელი – „მოძღვარი, აღმზრდელი და მასწავლებელი“ დავით აღმაშენებლისა – „აღზრდილი წმიდისა იერუსალიმის ჯვარის მონასტერსა შინა ქრთველთასა, განაგებდა იერუსალიმსა ქრთველთა მონასტერთა ყოველთავე“. იგი „ჟამად იყოფებოდა წინაშე დავით მეფისა აღმაშენებლისა და ჟამად იერუსალიმად ჯვარის მონასტერსა შინა“. არსენ ივალთოელი ერთხელ „დავით აღმაშენებელმან წარავლინა დიდითა საფასითა და წარსაავებელითა და მრავლითა ძვირფასითა ნივთითა იერუსალიმად შესაწირავად წმიდათა მათ აღგილთა. მიიწია ესე, განახლდა და განამშენიერნა ჯვარის მონასტერი და სხვანი წმიდანი მონასტერნი ქრთველთანი და ყოველთა მათ წმიდათა ადგილთა განამდიდრებელი, აღმაშენებელი და შემამკურთხელი მოიქცა საქრთველოდევ“.

ჯვაროსნთა ბატონობა იერუსალიმში დიდხანს არ გავრცელებულა. XII საუკუნის მეორე ნახევარში, 70-იანი წლებიდან, ახლო აღმოსავლეთში ვითარება არსებითად შეიცვალა. ეგვიპტის, სირიის ნაწილისა და მესოპოტამიის შეერთების შედეგად შეიქმნა ერთი მძლავრი სახელმწიფო, რომლის ცენტრი ეგვიპტეში იმყოფებოდა. ჯვაროსნებს ნაცვლად ცალკეული სამთავრო-სამამროებისა და უპირისპირდა დიდი სახელმწიფო, რომელსაც სათავეში აღაიოებდნენ საღაღინო (საღაღინი) ედგა (1171-1193). გაძლიერებულმა სულთანმა დაისახა სირია-პალესტინიდან ჯვაროსნების გაძევება. საღაღინის გაძლიერება მიიმე და საშიშ მდგომარეობას უქმნიდა იერუსალიმელ ჯვაროსნებს და აიძულებდა მათ თავდაცვითი ღონისძიებების გატარებას, რაც, თავის მხრივ, იწვევდა გადასახადების ზრდას. იერუსალიმის მეფის პალატის მეთაობის (1173-1185) მიერ დაწესებული ყოველწლიური გადასახადები (1177 წ., 1182 წ.) ჯვრის ტაძარსაც მიიმედ დააწვა. ბაღდადშია ჯვარს ზვრების ნაწილიც კი წაართვა.

როლანდ ჯალაღანი, ჟურნალისტი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნაღისტ ბიორბი ჯალალანია

...ეს იქნება რევოლუცია ქართულ ფეხბურთში!

ჩვენი სტუმარი რამაზ არმელაძე

— მადლობა რედაქციაში სტუმრობისთვის, მით უფრო ასეა, როცა საარჩევნო ვნებებმა პიკს მიაღწია.

— მე არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილება არ გამაჩნია. ცხადია, ვიცოდი, რომ დაძაბულობა იქნებოდა. ამის მიუხედავად, რაც ახლა ხდება, ვერაფრით წარმოვიდგენდი. თუქცა, ფეხბურთის გარშემო აუიოტაჟო კარგია.

— ...და რა დგას ამ აუიოტაჟის მიღმა?

— არასწორი ინფორმაციები, ჩარევები, გაუგებრობები... მე ხომ არ მითქვამს, გურიის გუბერნატორთან ამ რეგიონის ფედერაციის წარმომადგენლების შეხვედრას სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენელი რომ ესწრებოდა? კლუბებს დაუგზავნეს ერთი და იმავე შეცდომებით დაწერილი ბლანკები, რომ სფფ-ის წევრობაზე წერილი დაეწერათ. მერე ჩემზე ამბობენ, რომ ყრილობის დელეგატად თავიანთი თანამშრომლები წარადგინაო. ეს ხალხი რეგიონულმა ფედერაციებმა თავად აირჩიეს და მე ამასთან რა კავშირი მაქვს?

— ზოგიერთ კანდიდატურაზე მართლაც იბადება კითხვა. რა კავშირი აქვთ მათ წარმდგენ რეგიონთან?

— იმერეთის ფედერაციის დელეგატი ოთარ კორძაია, რომელიც ქუთაისის “ტორპედოში” წლების განმავლობაში თამაშობდა, არ იმსახურებს იმერეთის დელეგატობას? ან გურიის დელეგატ გონა ტყეზუნავას გურიისთან კავშირი არ აქვს? არ თამაშობდა “გურიაში”?!

— კი, მაგრამ, რა აკავშირებს, მაგალითად, ხვინა ქასრაშვილს სამცხე-ჯავახეთთან?

— ეს თავად ამ რეგიონის გადაწყვეტილებაა. თუ ასეა, კახეთის ფედერაციის დელეგატი მხარს მე მიჭერდა, მაგრამ ის თენგიზ სულაქველიძემ ჩაანაცვლა. ვერაინ იტყვი, რომ ბატონი თენგიზი კახეთში საქმიანობს, მაგრამ ის იმხელა ფიგურაა... არ გაინტერესებთ, რატომ აირჩიეს აჭარის რეგიონის დელეგატად მოჭიდავე მუსხრან ვახტანგაძე, რომელიც ავტონომიის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელია? დიახ, ის მსოფლიოს ჩემპიონი და პატივსაცემი სპორტსმენია, მაგრამ მე ჭიდაობის ფედერაციის ყრილობაში მონაწილეობაზე დავთანხმდები? თუქცა, კანონი ამის საშუალებას იძლევა, ისევე, როგორც ტყეზუნავას, კორძაიის და სხვათა შემთხვევებში... რომ ამბობენ, ვეტერანთა კავშირმა არეგულირებ მხარი ისე დაუჭირა, სხვა კანდიდატურებს არ მოუხმინაო. ჩემთვის უსაყვარლესმა თბილისის “დინამომ” კობიაშვილი ისე წარადგინა, მე არ მომიხმინეს, მაგრამ რა ვქნა? ან რა ლაპარაკია, რომ ახი არეგულირებ დელეგატი ახლად? ის ხომ საფეხბურთო სკოლების ასოციაციის პრეზიდენტად 6 წლის წინათ აირჩიეს და არა ახლა?! საერთოდ, მაინტერესებს, საიდან იღებს სათავეს ჩემ მართლადგროვილი სიძულელი? ამას რაიმე საფუძველი გააჩნია? ვინმე მომიხმარა კარიერაში ან მაშინ, გაპარტახებული თბილისის “დინამო” რომ ჩავიხარე და საკუთარი ფული დავხარჯე? ვინმეს ადგილს ვიკავებ თუ რა ხდება? ფედერაციაში რომელი მთავრობის ჩასმული ვარ, იქნებ, ეს მაინც მოთხრან.

— ისე, მართლაც საინტერესოა, თავის დროზე ფედერაციაში როგორ მიხვედით?

— ვისწავლე, ვითამაშე, გერმანიაში სამწვრთნელო კურსები დავასრულე, მერე მწვრთნელად და “დინამოს” ხელმძღვანელად ვიმუშავე... ეტყობა, საქმე ცუდად არ გამოიკეთებია და ამიტომაც მიმიწვიეს. მინიშნებებით რომ ლაპარაკობენ, იქნებ, მოთხრან, რომელი მთავრობის ფავორიტი ვიყავი? ისიც იკითხეთ, ნემსაძე რომ გადააყენეს, ფეხბურთში მისი დეტოვება ვისი ინიციატივა იყო? მომხდარს ძალიან განვიცდიდი და ვიცეპრეზიდენტობა ნოდარ ახალკაციანთან ერთად შევთავაზე...

— აღმასკომმა 24 კლუბს სფფ-ში გაწევრებაზე უარი უთხრა. რატომ არის ეს მიუღებელი, როცა ისინი სფფ-ის ვედიტ გამართულ ტურნირებში მონაწილეობენ და ვეროთასებზე ქვეყნის სახელით გადიან?

— კატეგორიულად არ ვეთანხმები, რომ წევრთა რაოდენობა მუნიციპალური კლუბების ხარჯზე გაიზარდოს. მსურველებს ხარჯზე, სუბიექტების რაოდენობა 70-მდე რომ გაეზარდოს და მათგან 50 სახელმწიფოს დაფინანსებაზე იქნება, ფეხბურთის ფედერაციის დამოუკიდებლობის ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირდება. ისიც საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც ახლა მოუნდათ ფედერაციის წევრობა?

— ბათუმის “დინამო”, სანხის “ნიხურა” და ლანჩხუთის “გურია” ამას აქამდეც ითხოვდნენ...

— ეს კლუბები სხვა თემაა. მივდი ამ პროცესში გასაოცარი ის არის, რომ ამ 24 კლუბს ფედერაციის წევრობა ერთდროულად მოუნდა. ისინი საქართველოს ყველა კუთხეს წარმოადგენენ და როგორც გითხარით, წერილები ერთნაირი ფორმითა და ერთი და იმავე შეცდომებითაა გადმოგზავნილი. ეს პროცესი იმდენად ნაქარვევად იყო ორგანიზებული, ფედერაციის წევრობა ისეთმა კლუბებმაც კი მოითხოვეს, უკვე წევრები რომ არიან.

— ანუ, თქვენ ამბობთ, რომ ფეხბურთის ფედერაციაში სახელმწიფო კლუბები არ უნდა გაწევრდნენ და ესაა ფედერაციის პოლიტიკა?

— არა მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციის, სხვა ფედერაციების პოლიტიკაც ასეთი უნდა იყოს, დამოუკიდებლობის ხარისხი რომ შეინარჩუნონ.

— გვევლის და იდეაში მართალი ბრძანებით, რომ ფედერაციაში დამოუკიდებლობის ხარისხი უნდა შეინარჩუნოს. მაგრამ სფფ-ის წესდება მუნიციპალური კლუბების წევრობას არ გამორიცხავს — ანუ, ეს კანონიერი მოთხოვნაა. ამ უფლებით მერე ლიგის რუსთავის “მეტალურგი” თუ სარგებლობს, მათ რატომ არ უნდა ჰქონდეთ ხმა? მაშინ ფედერაციის წესდება უნდა შეიცვალოს და ჩაიწეროს, რომ სახელმწიფო კლუბებს ხმის უფლება არ გააჩნიათ...

— ჩემი იდეაა, რომ არჩევნების შემდეგ კანონი შეიცვალოს და ხმის უფლება კიდევ უფრო მეტ სკოლასა და კლუბს მიეცეს. საერთოდ, წესდებაში უნდა ჩაიწეროს მეგობო კრიტერიუმი, თუ ვის უნდა ჰქონდეს ყრილობაზე დელეგატის წარდგენის უფლება და ვის — არა. ოღონდ, ეს კრიტერიუმები ყველა მხარესთან, ასევე ფიფასა და უეფასთან შეთანხმებით უნდა ჩამოყალიბდეს. ისე, მუნიციპალური კლუბების უმეტესობას დღესაც აქვს გავლენა პროცესებზე, რადგან უმეტესობა რეგიონული ფედერაციების წევრია.

— თქვენს ორივე კონკურენტს, კვარაცხელიასა და კობიაშვილს, აქვთ კითხვა — რატომ დაირღვა წესდებით გათვალისწინებული ყრილობის დღის წესრიგის რიგითობა და 16 საკითხის ნაცვლად, რატომ იქნება მხოლოდ პრეზიდენტის არჩევნები?

— ეს კობიაშვილმაც მკითხა, მაგრამ აღმასკომმა ასე გადაწყვიტა...

— კი, მაგრამ ხომ უნდა შეფასდეს

გასული 4 წელიწადი, შედგეს ფედერაციის ბიუჯეტი, აღმასკომის წევრებიც ხელახლა ასარჩევი და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი რატომ გადაიდო?

— დღის წესრიგი მე არ შემეძგენია, რადგან აღმასკომის წევრი არ ვარ. ამასთან, რამდენად ჩემთვისაა ცნობილი, მოქმედი წესდებით აღმასკომის წევრებს უფლებამოსილება წლის ბოლომდე აქვთ...


— უმაღლესი ლიგის 16 გუნდამდე გაზრდაზე რას ფიქრობთ? გააძარცვათ ამ გზამ?

— სხვათა შორის, ლიგის გაზრდა თავად კლუბებმა გადაწყვიტეს. იცით, რამდენი იყო 10-გუნდიანის მომხრე? მხოლოდ — 3 კლუბი. რადგან ასე გავარდნის შანსი ნაკლებია. ჩემი აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტისას უნდა გამოვიდეთ არა მხოლოდ არსებული რესურსიდან და გარემოდან, არამედ, ხალხის ფსიქოლოგიაც უნდა გავითვალისწინოთ. ბევრი ფეხბურთელია, უმაღლესში თამაში რომ გაუჭირდა, მაგრამ პირველში წასვლა თიაკილა — გვინდა თუ არა, ჩვენთან ასეთი მენტალიტეტი, დაბალ ლიგაში გადასვლას კარიერის დასრულებას ამჯობინებენ. ამის გამო, ბევრ ფეხბურთელს ვკარგავთ... ასევე კლუბების შემთხვევაშიც. დაქვეითებულებს ხშირად ყურადღებას აღარ აქცევენ. სწორედ ამიტომ ვეთანხმებოდი იმ ხალხს, ვინც ლიგის 16 გუნდამდე გაზრდას მოითხოვდა... სხვათა შორის, დიდი ნოდარ ახალკაცი ამბობდა — რადგან ფეხბურთელებს კარგ საგარჯიშო პირობებს ვერ ვუქმნით, აუცილებელია მეტი გუნდი, სადაც მეტი ფეხბურთელი დასაქმდებო...

— თქვენი აზრით, ოპტიმალური უმაღლესი ლიგა რამდენგუნდიანი უნდა იყოს?

— იდეალური იქნება 10-გუნდიანი უმაღლესი ლიგა, ხოლო პირველი ლიგის კლუბების ორ, 10-10-გუნდიან ზონებში გადანაწილება. მაგრამ უმაღლესში გადასვლისას ბევრს გაუნდა კადრების პრობლემა. ამიტომ, უპრიანი იქნება, მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები უმაღლესი ლიგისას მაქსიმალურად მიუახლოვდეს. მაგალითად, რომ ჰყავდეთ დუბლები და ჰაბუკთა ლიგის გუნდები. ეს გუნდების რაოდენობასაც გაზრდის და მეტი მოთამაშეც დასაქმდება.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ “ლავრენტი ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რედაქტორი ალექსანდრე შენბელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დღის 9 საათზე, ბაქრძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ — 557.324.374.

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ხელშეწყობით, ქართულ ენაზე გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი “კამპანია”, რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენლები არიან როლანდ ჯალალანია და ნუზარ გოგუა. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დღის 9 საათზე, ბაქრძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ — 557.324.374

ილორი

* * *

ნარკომანი, მეხანძრე და სადისტი ერთ საკანში სხედან. ნარკომანი ამბობს:

- ერთი მომაწვივინა!
- მეხანძრე: — ნეტა მე ჩამაქრობინა.
- სადისტი: — შენს მოტველივად თავზე!

* * *

საბავშვო ბაღში:

- მამაჩემს იმდენი ფული აქვს, თუ მონდომა, მთელ თბილისს იყიდის.
- მამაჩემმა თუ მიპყიდა, კი...

* * *

ექიმის კაბინეტში ქალი შევიდა ნახევარღირსიანი ბოთლით ხელში.

- ეს რაა? — ეკითხება ექიმი.
- შარდია, ექიმო!
- შარდი ლაბორატორიაში უნდა მიიტანოთ, მეორეც, ეს შარდი კი არა, ზეთია.
- უი, არ გამიკვირდა, დევნელები რატომ მეწვება-მეთქი?!

სახალხო მკურნალობა მოუპოოთ ჩარი კიდეა მკურნალობა ნაშიონალური ფარმაცოთაჟიას, რომელიც მის დაიკრავს სილიოზდა და კვლავ ჩაღვა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

ლომინტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალდას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროსს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პეუნრავს გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შველის ცერებრალურ დაზიანებას, ყურებიდან ჩირქენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატები: თბილისი, სოფელი შალაში, ბაზნიძის ბიჭვილი (ლომინტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე — შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქმეულები მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრძის ქუჩა №6, საბუხ. №01018002930 234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გადაგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლახურის დისკით).

მითავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია

ტიმონი რედაქტორი: **ზურაბ ძიგაია** 599-34-37-27

გაზეთის მენეჯერი: **სარედაქციო საბჭო: ზურაბ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თინათინა კუპლაშვილი, ზინაიდ მიტოპია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, ბიორბი სიზინავა, ნუზარ სალაყაია (ბალი)**

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე

WWW.saqinform.ge

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე

WWW.saqinform.ge